ქეთევან შავგულიძე

ეპიზოდები



2007

ჭეთეგან შაგგულიძე



ადამიანი ოლიმპიადა

“შეიძლება და აუცილებელიცაა ამ ხამყაროს ცვრე იერარქიის ნგრევა. მის ნიჰილიზმდეგ ამბოხა. მაგრამ იმასთვის რათა დაემორჩილო ჭეშმარიტ ადამიანად ღვთიურ იერარქიას, ო

ელიმეც თითოეულს თავისი ადგილი უკავია. მხოლოდ ამ იერარქიაზეში დგეს ხსნა უხამსობისგან, გულგრილობისგან, ჯიგუნობისა და უსახობისგან. ვფიქრობ, ღვთიური ყოსმოსის თავისუფალ იერარქიას უნდა მორჩილებდეს ყველა”

ნ.ბერდიაევი. “ამბოხი და მორჩილება მასათა ფსიქოლოგიაში”

2007

75.037.2+75.03 75.028+75.02

ხელოვნება გაცოცხლებს

Ars longa, vita brevis.

რედაქტორი:
მხატვარი
ყოველთვიურად დიზაინი და მოამზადებენ:

მიხეილ ანთაძე
გიორგი შაგულიძე
ილია ხუციშვილი
მარიანა ნიაბაძე

F14.485

ISBN 978-99928-69-23-9

დაიბეჭდა შპს „ფავორიტში“
მის.: რკინიგზის ჩიხი №20
ტელ.: 70-82-43

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდიდან ქალაქიანისგან

ქალი შაგვულიძის წინამდებარე წიგნს რომ გადავიკითხავ, გალიანქალაქიანის ჯადოსნური სიტყვები მომაგონდა:

"შეშლილი სახელების ჩიხჩიანი ცუდებით

უსულმდგმული ღეღები ობიან, მიაჩანიან!"

ნიეშსა და დაგენის მიერ ფოლკლორიზაციის გამოცდილებამ XIX საუკუნეში მხატვრული აძალა ნიჭიერი მზერა საგანთა და ოდალობის ხილვამისაკენ მიქმანოთ. ერომანელის მიაჩნია ნაირგვარ "იზმების" ჯაჭი შეშლილი სახელების ჩიხჩიანი ცუდებიანი. სიტყვა "შეშლილიც" ინიგანულად ფლერს, ოთიკა ნაკეშს ფილოსოფიაზე, შინაგრიგის მუსიკაზე, დალის მხატვრობაზე, ჯოიცის ჭიზაზე, ფუტურისტი ლექსებზე, დადაისტი ანნებზე და საერთოდ, მეოცე საუკუნის ადამიანია სატელეფონო და ცხოვრებაზე ფიანობინი. ამ ეპოქაში ყოველნაირობის მანგანალურმა სწრაფვებმა ყულმინაციის მიაღწია და ისეთნაირ ინი მსოფლიო ომია და შინაგალი ოდეოლუციის ქუხილში ამოუქა ისეთი "უსულმდგმული" სიტყვები, ოთვინიკა ყომუნიზმი, ფაშიზმი, ავტომური ბომბი, საკონცენტრაციო ბანაკი... ქვეცნობიერება, სექსუალური (დეზ)ინფორმაცია, ფლეგმია... აგრესიული ათეიზმი, ოლიგარქული ფუნდამენტალიზმი... ჭერთანი, მეცამეტეცამანი, ტერორიზმი და ყოველნიაული შიზოფრენიის შინაგალი სხვა სიმპტომი. მაგრამ ამავე დროს XX საუკუნემ ჰიანსინა და მაგრანიან, ლეფეა და მარინ, დალია და ეშერის ნახატები,

ჭემანგუეა და ფოლკნერის,

მანია და ჭესეს ოომანები,

ჰასტერნაკია და გალიანქალაქიანის ლექსები,

გერშვინია და ბაკლიზის მუსიკაც შეა.

ასე მოვედით ჰუსმოდერნისტულ ღეღეანდელობამდე.

უნიოულეა ახალი საუკუნე დაგვიდგა.

და რომ გავერკვეთ იმაში, თუ რა ხდება ღეს,

უნდა ვიცოდეთ რა მოხდა გუშინ.

ეს წიგნი ჭოფესიონალური ფუნქციონობითა და დიდი ინფორმაციის სხარტი ანალიზით ინანამდინოვე მკითხველისთვის მაშინდელ ფორმატში გაგვაცანოს ყობაზმის, ფუტურიზმის, დადაიზმის, სიურრეალიზმის, აბსტრაქციონიზმის და საერთოდ მეოცე საუკუნის სახვითი ხელოვნების (და მასთან ერთად მთელი ყულტურის)

"ჩიხჩიანი ცუდების" გასნერიე.

ამიტომ აგი ანა მხოლოდ სპეციალისტებსა და სტუდენტებს, ანამედ ხელოვნების ყოველ მოყვარულს გამოადგება.

მიხეილ ანთაძე

შინაარსი

ყუბანში

5

ფუცუოიში

13

ექსპედიციაში

22

ამსტოიქიაში

31

დადაში

44

ხიუოელიში

50

კუბიზმი

"ყველაზე სრული და რადიკალური მხატვრული რევოლუცია რენესანსის შემდეგ"

ჯ.ჰოლდინგი

კუბიზმი (ფრ. cube-კუბი) XX ს-ის დასაწყისში სახვით ხელოვნებაში გაბატონებული ავანგარდული მიმდინარეობაა, რომელიც 1907/08 წლებში საფრანგეთში ჩაისახა. კუბიზმის ფუძებდებლები იყვნენ პ.პიკასო და ჟ. ბრაკი.

პ. პიკასო. ავინიონელი ქალიშვილები. 1907

ჟ. ბრაკი. სახლები ესტაკში. 1908

1907 წელს პ.პიკასომ შექმნა პროგრამული ნამუშევარი "ავინიონელი ქალიშვილები".

1907 წლის შემოდგომაზე ფრანგმა კრიტიკოსმა და პოეტმა გ.აპოლინერმა პ.პიკასოს სახელოსნოში ჟ.ბრაკი მიიწვია.

1908 წელს ანრი მატისმა, რომელიც "შემოდგომის სალონში" გამართული გამოფენის ჟიურის წევრი იყო, კრიტიკოსთან საუბრისას აღინიშნა, რომ ჟ.ბრაკის მიერ სალონში წარმოდგენილი ფერწერული ტილოები "პატარა კუბებს" ჰგავდა. მატისმა ასე დაახასიათა ჟ.ბრაკის მიერ ამავე წელს, ესტაკში (საფრანგეთის სამხრეთით) შექმნილი პეიზაჟი. ნეგატიური შეფასების გამო ბრაკმა ტილო გამოფენის გახსნის წინა დღეს „შემოდგომის სალონიდან" "გრანდ პალასში" გადაიტანა.

1909 წელს ახალ მიმდინარეობას კრიტიკოსმა ლუი ვოქსელმა "კუბიზმი" უწოდა. ეს ტერმინი პირველად ვოქსელის სტატიაში გამოჩნდა, რომელიც დამოუკიდებელთა სალონში გამართულ გამოფენას ეძღვნებოდა.

ავანგარდი (ფრანგ. avant-garde) – მოწინავე რაზმი

“ძველი ფერწერისაგან განსხვავებით კუბიზმი აღარ არის მიმბაძველობითი ხელოვნება, ის კონცეპტუალური ხელოვნებაა, რომელიც ქმნილების დონემდე ამაღლებას ლამობს”

გ.აპოლინერი



ჟ. მეცენჟე. პეიზაჟი. 1911

ახალი მხატვრული მიმდინარეობა შუა საუკუნეების ხელოვნების, აფრიკული ხალხური შემოქმედების პრინციპებით საზრდოობდა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა პარიზის მხატვრულ წრეებში. კუბიზმი ხელოვნების ამოცანად არა ფორმების, არამედ მათი “წინმსწრები” იდეების ასახვას მიიჩნევდა. მხატვრები სახვითი ხელოვნების მიმეტიკურ ფუნქციას უპირისპირდებოდნენ, უარყოფდნენ გარემოს რეპრეზენტირების ტრადიციულ მხატვრულ საშუალებებს (პერსპექტივა, შუქ-ჩრდილი) და ნატურის განსხვავებულ, ირეალურ მოდელს სთავაზობდნენ მაყურებელს. კუბიზმის წარმომადგენლები საგნის გარეგნული იერსახის ნაცვლად, მისი არსის ამოცნობის და ასახვის საუკეთესო საშუალებად ანალიტიკურ მეთოდს მიიჩნევდნენ. მიმდინარეობის პლასტიკური ენა საგნის “პირველად” ელემენტებად – გეომეტრიულ სიბრტყეებად დაშლის კონცეფციას ეფუძნებოდა. ახალი სინამდვილის ავტონომიური შემოქმედი – მხატვარი, კომპოზიციას სწორედ ასეთი პირველადი ელემენტების საფუძველზე აგებდა. მის მიერ შექმნილი გამოსახულება დანაწევრებული საგნის, სხეულის სხვადასხვა რაკურსის განზოგადოებულ სახეს წარმოადგენდა.



ჟ. ბრაკი. ვიოლინო და დოქი. 1910

მიმეტიკური (ბერძ. mimetes) - მიმბაძველი
ანალიზი (ბერძ. analysis დაშლა) – რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით

“ხელოვნების მთავარი შეცდომა რეალობის მიბაძვაა”

ა.გლეზი, ჟ. მეცენჟე

კუბიზმმა განვითარების რამდენიმე სტადია გაიარა. კრიტიკოსები სამ ძირითად ფაზას გამოჰყოფენ:

1. **ადრეული ეტაპი** – სეზანური ფაზა (1907-1909)
2. **ანალიტიკური ფაზა** – (1909/10-1912)
3. **სინთეზიკური ფაზა** – (1912-1914).

კუბიზმი პ.სეზანის ანალიტიკური ძიებების ლოგიკურ გაგრძელებად მოიაზრება. მისი ჩამოყალიბებისათვის ძლიერ იმპულსს წარმოადგენდა 1907 წელს პარიზში გამართული პ.სეზანის გამოფენა და მისი ცნობილი პოსტულატი - "დაამუშავეთ" ბუნების ფორმები ცილინდრის, სფეროს, კონუსის ფორმის მეშვეობით".

კუბიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე მხატვრები საგნების პერმანენტული სტრუქტურის ასახვის **სეზანისეულ** იდეას იზიარებდნენ. პოსტიმპრესიონისტი მხატვრის შემოქმედებითი პრინციპების ზემოქმედების შედეგად, ისინი მთავარ ამოცანად ფერისა და ნახევრადმოცულობითი ფორმების მეშვეობით საგნების სტრუქტურული არქიტექტონიკური საფუძვლების გამოვლენას მიიჩნევდნენ. ამ ეტაპზე შექმნილ ნამუშევრებში გეომეტრიული ფორმის მოცულობების საფუძველზე აგებული საგნები, სხეულები სივრცეში პერსპექტივის კანონების და შუქ-ჩრდილის გარეშეა რეპრეზენტირებული და ტილოს სიბრტყეზე ერთდროულად სხვადასხვა რეკურსიდან არის დაფიქსირებული.

ხ. გრისი. პ. პიკასოს პორტრეტი. 1912

ანალიტიკურ ფაზაში მხატვრების ძირითად ამოცანას საგნების, მოცულობების, ფორმების ანალიზი წარმოადგენს. საგნის არსის ძიების პროცესში მისი ფორმა დეკონსტრუირებას განიცდის. მხატვრის ანალიტიკური მზერის ქვეშ უმრავ გეომეტრიულ ელემენტად იშლება. ანალიტიკურ ფაზაში წამყვან მნიშვნელობას სიმულტანური (ერთდროული ასახვის) პრინციპი იძენს – გამოსახულება საგნის სხვადასხვა წახნაგის, რაკურსის (ფასი, პროფილი) ჯამურ სახეს წარმოადგენს. ნახევრად აბსტრაქტული დეკორატიული კომპოზიციები (ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები), რომელიც გეომეტრიული ფორმის მოცულობების კონგლომერანტს წარმოადგენს, მხატვრის მიერ შექმნილ ახალ რეალობად გვევლინება. ამ პერიოდის კუბისტურ ნამუშევრებში საგნობრივ-სივრცობრივი კავშირები დარღვეულია, სივრცის პლანები აღრეული. სიბრტყეები, ელემენტები თითქოს დაცურავს განსაკუთრებულ ოპტიკურ, ირეალურ სივრცეში. მხატვრის მიერ შექმნილი გამოსახულება არც მიმეტიკური, არც სიმბოლური თვალსაზრისით აღარ არის უშუალოდ დაკავშირებული რეალობასთან. უმნიშვნელო მსგავსება ნატურასთან მხოლოდ ფორმალურ-ასოციაციურ დონეზეა შენარჩუნებული.

იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტებისაგან განსხვავებით კუბისტების პალიტრა ასკეტურია. გეომეტრიული სიბრტყეები ძირითადად რუხი, შავი და ყავისფერი ტონების გრადაციის საფუძველზეა მოდელირებული.

სინთეზიკურ ფაზაში შექმნილი კუბისტური კომპოზიციები დაშლილი, დეკონსტრუირებული "რეალობის" ცალკეული ელემენტების მეშვეობით არის აგებული. 1911/12 წლიდან კუბისტურ ნამუშევრებში ჩნდება სიტყვები, ციფრები, ასოები, შემდგომში კი გაზეთების, თეატრალური პროგრამების, ნოტების, აფიშების ფრაგმენტები, ქსოვილის დეტალები (ფაქტურული ეფექტის მიღწევის მიზნით მხატვრები საღებავში ურევდნენ ქვიშას, ნახერხს). კუბისტური კონცეფციის თანახმად, ხელოვნება კი არ ასახავს, არამედ ახალ, ადრე არარსებულ რეალობის ქმნის. კოლაჟის ტექნიკით შექმნილ ნამუშევრებში რეალური სინამდვილიდან, უტილიტარული კონსტექტიდან ამოღებული "ელემენტები" ფერწერული ნაწარმოების სტრუქტურაში ჩართვისთანავე კარგავს ყოფით ფუნქციას და განსხვავებულ მხატვრულ დანიშნულებას იძენს. ახალი მხატვრული ხერხი რეალური სინამდვილის კონკრეტული ელემენტების მეშვეობით განსაკუთრებული, ვირტუალური რეალობის შექმნას უწყობს ხელს.

სინთეზი (ბერძ. synthesis - შეერთება)
1. მეცნიერული კვლევის მეთოდი – საგნის ან მოვლენის შესწავლა მთლიანობაში, მისი ნაწილების უერთიერთკავშირში.
2. შეერთება, განზოგადება.



პ. პიკასო. ვიოლინო და გიტარა. 1913

კოლაჟი *– (ფრ. coller – დაწებება) – სურათის შექმნის ტექნიკა, როდესაც სასურათო სიბრტყეზე კომპოზიცია გაზეთების, ფერადი ქაღალდების ფრაგმენტების, სხვადასხვა ფაქტურული ელემენტების, იშვიათად კი, მოცულობითი დეტალების მეშვეობით (მავთული, ხე, ბაწარი და ა.შ.) არის კონსტრუირებული. 1912 წლიდან პ.პიკასო და ჟ.ბრაკი სისტემატურად მიმართავდნენ კოლაჟის ტექნიკას. კოლაჟებს ქმნიდნენ სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობის: ფუტურიზმის (კ.კარა, ჯ.სევერინი), დადაიზმის (კ.შვიტერსი, მენ რეი), სიურეალიზმის (მ. ერნსტი, ხ.მირო, ა.მასონი), პოპ-არტის (ჯ.დაინი, რ.რაუშენბერგი, კ.ოლდენბურგი და სხვ.) წარმომადგენლები.*

კუბიზმში XX-ს-ის ხელოვნების შემდგომი განვითარების წამყვანმა ტენდენციებმა იჩინა თავი. კუბისტურ ნამუშევრებში გამოსახულების თვითღირებულებაზე (მნიშვნელობაზე) იდეა, კონცეფცია დომინირებს. აღნიშნული თავისებურება კუბიზმში მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობს, მაშინ როდესაც პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში ის წამყვან, პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

კუბიზმის იდეების ანალიზი ა. შოპენჰაუერის, ა. ბერგსონის იდეალისტურ ფილოსოფიურ თეორიებთან სულიერ კავშირზე ნათლად მეტყველებს. ა.შოპენჰაუერის ფილოსოფიის პარალელურად კუბისტები რაციონალურ შემეცნებას ხელოვნებას უპირისპირებდნენ. ხელოვნების მთავარ ამოცანად იდეების განსხეულებას, ხოლო რეალურ ობიექტებსა და მოვლენებს შორის კავშირების დადგენას მეცნიერების პრეროგატივად მიიჩნევდნენ. კუბიზმში ჯერ კიდევ სრულად არ იყო უარყოფილი რაციო (როგორც სიურეალიზმში), თუმცა ის მხოლოდ რეალობის ტრანსფორმირების ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

იდეალიზმი (ბერძ. idea წარმოდგენა, ცნება) – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც მატერიალურთან შედარებით სულიერების უპირატესობას ამტკიცებს, რომლის მიხედვით იდეები პირველადი და მარადიულია, ხოლო მატერიალური საგნები მეორადი და წარმავალი.

არტურ შოპენჰაუერი (1788-1860) – გერმანელი ფილოსოფოსი, ირაციონალიზმის წარმომადგენელი.

ირაციონალიზმი (ლათ. irrationalis არაგონიერი) – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც შემეცნების ძირითად უნარად ინტუიციას მიიჩნევს, ხოლო ადამიანის აზროვნების როლს შემეცნებაში უმნიშვნელოდ თვლის. ირაციონალიზმის მიხედვით, ადამიანის გონება უძლურია ჩაწვდეს სამყაროს საიდუმლოებას, განსაკუთრებით ადამიანის სიცოცხლის კანონზომიერებას.

კუბისტთა წრეში ა.ბერგსონის ფილოსოფიური არგუმენტები ელიტარული, ეზოთერული ხასიათის ხელოვნების, მხატვრის განსაკუთრებული, მაღალი მისიის დასაცავად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ა. ბერგსონის ფილოსოფიური სწავლების შესაბამისად ინტუიცია აღქმის მისტიკურ აქტს წარმოადგენდა, ინტუიციის უმაღლეს ფორმად კი მხატვრის ესთეტიკური ინტუიცია მოიაზრებოდა (რომელშიც გაქრალიყო სხვაობა შემეცნების ობიექტსა და სუბიექტს შორის). აღსანიშნავია, რომ ბერგსონის ინტუიტივიზმის ზემოქმედების შედეგად ავანგარდულმა ხელოვნებამ აშკარად გამოხატული სუბიექტური ხასიათი შეიძინა.

ინტუიცია (ლათ. intuitio – ჭვრეტა, დაჟინებით მზერა)
1. იდეალისტურ ფილოსოფიაში უშუალო შემეცნების არაცნობიერი უნარი.
2. უშუალო, სტიქიური გრძნობა, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას, ალღო.

ინტუიტივიზმი – ფილოსოფიური თეორია, რომელიც შემეცნებაში უპირატესობას ინტუიციას ანიჭებს და ამტკიცებს, რომ ადამიანის შემეცნებითი აქტივობა და სასიცოცხლო სწრაფვა მხოლოდ ინტუიციური არაცნობიერი ალღოს საფუძველზე მიმდინარეობს, რომ ადამიანის სიცოცხლის უსასრულო სწრაფვის შემეცნება და წვდომა მხოლოდ ინტუიციით ხდება.

ანრი ბერგსონი (1859-1941) ფრანგი ფილოსოფოსი, იდეალისტი, ინტუიციივიზმის და სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელი.

კუბიზმის კლასიკური პერიოდი პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დასრულდა. კუბიზმის იდეებით საზრდოობდა სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობა: ფუტურიზმი, კუბოფუტურიზმი, სუპრემატიზმი, დადაიზმი, კონსტრუქტივიზმი.

კუბიზმის კონცეფციას იზიარებდნენ პოეტები, ლიტერატორები, კრიტიკოსები – გ.აპოლინერი, ა.სალმონი, ჰ.სტაინი და სხვ.

კუბიზმის მხატვრულ საშუალებებს შემოქმედების ცალ-კეულ ეტაპზე მიმართავდნენ მხატვრები: **პ.პიკასო** (1881-1973), **ჟ.ბრაკი** (1882-1963), ხ.გრისი (1887-1927), ფ.ლეჟე (1881-1955), რ.დელონე (1885-1941), ჟ.მეცენჟე (1883-1956), ა.გლეზი (1881-1953), მოქანდაკეები: უ.ლიფშიცი, ა.არქიპენკო.

"კუბიზმი... ეს არ არის სკოლა,
არც ესთეტიკა, არც საგანი.
ეს ახალი წარმოდგენაა სამყაროზე"

ჟ. ლიფშიცი

ჟორჟ ბრაკი – ფრანგი მხატვარი. კუბიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა 1882 წელს. სწავლობდა გავრის ნატიფი ხელოვნების სკოლაში, შემდეგ პარიზში – ემბერის აკადემიაში. შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ბრაკი ფოვისტების ფერწერით იყო დაინტერესებული. თუმცა სახვითი ხელოვნების ისტორიაში მისი სახელი სხვა მხატვრული მიმდინარეობის – კუბიზმის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. 1908-1914 წლებში ჟ.ბრაკი კუბიზმის კონცეფციითაა გატაცებული და აქტიურად თანამშრომლობს პიკასოსთან. პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად ის იძულებულია შეწყვიტოს შემოქმედებითი მოღვაწეობა (მობილიზებულია არმიაში). ომის შემდეგ მისი შემოქმედება ტრანსფორმირებას განიცდის, კუბისტურ ფორმებს გამოსახვის ახალი მხატვრული საშუალებები ცვლის. (ბრაკი ქმნის სერიებს, სადაც იმეორებს რა შერჩეულ მოტივს, მისი სხვადასხვა პლასტიკური საშუალებების გამოვლენას ცდილობს).



ჟ. ლიფშიცი. კაცი გიტარით. 1915

"არ უნდა ვეცადოთ მივბაძოთ საგნებს,
რადგან ისინი წარმავალია და მუდმივად იცვლება"

ჟ. ბრაკი

ჟ.ბრაკი ქმნიდა არა მარტო ფერწერულ, არამედ გრაფიკულ, სცენოგრაფიულ, სკულპტურულ ნამუშევრებს, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს (ვიტრაჟები, საიუველირო ნაწარმი). ჟ.ბრაკი 1963 წ. პარიზში გარდაიცვალა.



ჟ. ბრაკი. გიტარა. 1913



“მე საგნებს ვხატავ ისე, როგორც ვფიქრობ მათზე და არა როგორც ვხედავ მათ”
პ.პიკასო

პაბლო პიკასო (რუისი) ესპანელი მხატვარი და მოქანდაქე. დაიბადა 1881 წ. მალაგაში. სწავლობდა ბარსელონაში, ნატიფი ხელოვნების სკოლაში, მადრიდის სამხატვრო აკადემიაში. 1904 წლიდან პიკასო პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. პ.პიკასოს შემოქმედების პირველ ეტაპს “ცისფერ პერიოდს” უწოდებენ. 1901-1904 წლებში მის მიერ შექმნილ ნამუშევრებში ცისფერი, ლურჯი, მომწვანო ტონები დომინირებს. 1905-06 წლებში პიკასოს ტილოების კოლორიტი შეიცვალა. ფერდოვანი გამა უფრო ნათელი გახდა, გაჩნდა თბილი მოვარდისფრო – მოოქროსფრო ტონები (”ვარდისფერი პერიოდი”).

მოხუცი გიტარისტი. 1903

1907 წლიდან მხატვრის შემოქმედებაში იწყება კუბისტური პერიოდი. 1907 წელს ის ქმნის კუბისტური ციკლის პირველ ნამუშევარს – ფერწერულ ტილოს “ავინიონელი ქალიშვილები”. სურათი ნათლად ასახავს მხატვრის არატრადიციულ მიდგომას ნატურასთან – უარყოფილია პერსპექტივის კანონები და შუქ-ჩრდილით მოდელირების პრინციპები. ტილოს სიბრტყეზე რეპრეზენტირებული ქალების სხეულები გეომეტრიული სიბრტყეების კონგლომერანტს წარმოადგენს. კუბიზმი მხოლოდ გარკვეული ეტაპია პ.პიკასოს შემოქმედებაში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გრძელდება, შემდეგ კი სახეცვლილებას განიცდის.



გერნიკა. 1937

პ.პიკასოს შემოქმედება მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მასში ასახვას პპოვებს დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში გაბატონებული სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობა და XX ს-ის სახვითი ხელოვნების ძირითადი, წამყვანი ტენდენციები.

ფერნან ლეჟე – ფრანგი მხატვარი, რომელმაც ჟ.ბრაკისა და პ.პიკასოს კვალდაკვალ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კუბიზმის ფორმირებასა და გავრცელებაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მის შემოქმედებაში ურბანული, ინდუსტრიული მოტივები დომინირებდა. ის აქტიურად მიმართავდა ტექნოკრატულ სიმბოლოებს. კონსტრუქციული ძალის დემონსტრირების მიზნით მოცულობების, პლასტიკური ფორმების ჰიპერტროფირების ხერხს მიმართავდა. ფ. ლეჟე წარმატებით მოღვაწეობდა მონუმენტური, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სფეროში. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ნეოპლასტიციზმის, კონსტრუქტივიზმის ჩამოყალიბებაზე.



ფ. ლეჟე. მშენებლები. 1951



ფ. ლეჟე. სამი ქალი. 1921

ფუტურიზმი

“ყველა თაობამ თავისი საკუთარი ქალაქი უნდა ააშენოს”
ანტონიო სანტ ელია

ფუტურიზმი (ლათ. futuro – მომავალი) – ავანგარდული მიმდინარეობა XX ს-ს ხელოვნებაში.

ფუტურიზმი იტალიაში ჩაისახა. ახალი მოძრაობის ლიდერი და იდეოლოგი იყო პოეტი ფილიპო ტომაზო მარინეტი. 1909 წლის 20 თებერვალს პარიზული გაზეთის “ფიგაროს” ფურცლებზე მისი ავტორობით შექმნილი “ფუტურიზმის მანიფესტი” დაიბეჭდა, რომელიც ახალგაზრდა მხატვრებზე (განსაკუთრებით იტალიელებზე) იყო ორიენტირებული და თანამემამულეთა შორის სიამაყის გრძნობის გაღვიძების გზით, მათ პროვინციალიზმის დაძლევასა და ევროპული კულტურის ოლიმპის დაპყრობას უწინასწარმეტყველებდა.

“ყველაზე ასაკოვანი ჩვენს შორის ოცდაათი წლისაა. 10 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა შევძლოთ მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, სანამ არ მოვა ახალი თაობა და არ მოგვისვრის სანაგვეზე”
ფ.ტ. მარინეტი

ნაციონალისტური, ეგზალტირებული, ეპატაჟური, ანარქიული ხასიათის მანიფესტი უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს განადიდებდა და წარსულის სულიერი და კულტურული ღირებულებების სრული უარყოფის აუცილებლობას ქადაგებდა. მარინეტის მოწოდებას ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი გამოეხმაურა: უ.ბოჩონი, კ.კარა, ლ.რუსოლო, ჯ.ბალა, ჯ.სევერინი.

“ჩვენი ხელები თავისუფალი და სუფთაა იმისათვის, რომ დავიწყოთ სულ თავიდან”
უ.ბოჩონი, კ.კარა, ლ.რუსოლო, ჯ.ბალა, ჯ.სევერინი

ფუტურისტული კონცეფციის თანახმად, მიმდინარეობის ძირითადი პრინციპები არა მარტო ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, არამედ ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში უნდა დანერგილიყო (ნათლად ჩანს ტენდენცია მხატვრის “გამოსვლისა” ხელოვნების საზღვრებიდან). ფუტურისტები აქტიურად ეხმაურებოდნენ საუკუნის დასაწყისში ქვეყნის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე რთულ და მრავალმხრივ პროცესებს. “ომი–სამყაროს ერთადერთი ჰიგიენაა” – აცხადებდნენ ფუტურისტები და სოციალურ-პოლიტიკური კუთხით სამყაროს “ძველმანებისაგან” განწმენდის ძლიერ იარაღად ომს და რევოლუციას მიიჩნევდნენ.



ფ. დეპერო. მოტოციკლისტი. 1944

“ხმაურიანი ავტომობილი უფრო მშვენიერია ვიდრე ნიკე სამოთრაკიელი”

ფ.ტ.მარინეტი

მიმდინარეობის წარმომადგენლები ინდუსტრიულ მომავალს ეტრფოდნენ, ტრადიციული კულტურის “სიმსივნურ წარმონაქმნებს” ურბანიზმის და მეცნიერების საშუალებით უპირისპირდებოდნენ. ფუტურისტული დოქტრინის თანახმად ახალი ტექნიკური საშუალებები, რომლიც ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ადამიანის ფსიქიკაზე, კერძოდ კი მის ფსიქოფიზიოლოგიაზე, ხელოვნების გამომსახველობითი სტრუქტურის პრინციპულ ცვლილებას მოითხოვდა. თუ თანამედროვე ადამიანის სენსორიკა უახლესი მანქანების მუშაობაზე იყო ორიენტირებული, შესაბამისად, ფუტურისტების ყურადღება მოძრაობაზე იყო კონცენტრირებული. თანამედროვე სამყაროს ტემპებით, გადაადგილების და კავშირის ახალი საშუალებების სისწრაფით და მობილურობით, მანქანების და მექანიზმების დინამიკით, ენერგეტიკით მოხიბლული მხატვრები მათი გარემოს დამახასიათებელი აღნიშნული თავისებურებების გამოსახვას ხელოვნების საშუალებებით ცდილობდნენ.

სახვით ხელოვნებაში ფუტურისტები ფოვისტური კოლორიტით და სივრცის ორგანიზების კუბისტური ხერხებით მანიპულირებდნენ, თუმცა კუბისტური ნამუშევრებისაგან განსხვავებით განსაკუთრებული დინამიზმით აღსავსე, “ენერგეტიკულ” კომპოზიციებს ქმნიდნენ.



ჯ. სევერინი. ზღვა=მოცეკვავე. 1914



ჯ. სევერინი. წითელი ჯვრის მატერებელი კვეთს სოფელს. 1915

“ჩვენ, ფუტურისტებმა
აღმოვაჩინეთ ფორმა მოძრაობაში
და მოძრაობის ფორმა”

უ.ბოჩონი

უ. ბოჩონი. სივრცეში განვითარების
უნიკალური ფორმები. 1913

ფუტურისტულ ნამუშევრებში XX-ს-ის დასაწყისში შემუშავებული ახალი სამეცნიერო თეორიები უმალვე პოულობდა ასახვას. თვალის ბადურაზე გამოსახულების ფიქსაციის კონცეფციის გაცნობისთანავე მხატვრები ამ პროცესის ტილოს სიბრტყეზე დაფიქსირებით იყვნენ დაინტერესებულნი, ფიზიკის და ფსიქოლოგიის დარგში მიღწევების პარალელურად ისინი არა საგნების, არამედ მათი შემქმნელი ენერგეტიკული, მაგნიტური, ფსიქიკური ველების განსახიერებას “ძალოვანი ხაზების” მეშვეობით ცდილობდნენ (“ხაზი ძალა, რომელიც ენერგიას განასახიერებდა, ბადებდა “ფორმა ძალას” და “ფერს ძალას”).

ფუტურისტული ნამუშევრების კომპოზიციური წყობა მაყურებლის ტილოს კიდიდან – ცენტრში “გადანაცვლებას” განაპირობებდა, რის საფუძველზეც ის “ძალოვანი ხაზების” მეშვეობით ასახული მოვლენების აქტიური თანამონაწილის სტატუსს იძენდა.



ჯ. ბალა. აბსტრაქტული
სიჩქარე+ხმაური. 1913-14

უ. ბოჩონი. ქუჩა სახლში შემოდის. 1911

ფუტურისტული ტილოები მოძრაობის, ენერგიის, ძალის, სისწრაფის სადემონსტრაციო სივრცედ არის ქცეული, სადაც სამყაროში მიმდინარე პროცესები, ფაქტები და მოვლენები ერთდროულად არის რეპრეზენტირებული. დრო, როგორც მხატვრული სივრცის "მეოთხე განზომილება" სიმულტანური გამოსახულების მეშვეობით არის რეალიზებული. ხშირ შემთხვევაში სხეულის მოძრაობა თანამიმდევრული ფაზების მეშვეობით არის წარმოდგენილი. მაგრამ სიმულტანურობის პრინციპი ფუტურისტებისათვის არა მარტო გარეგნული ფორმების და მოვლენების ასახვის საშუალებაა, არამედ მცდელობა ერთ მხატვრულ მთლიანობად გაერთიანდეს ადამიანის "შინაგანი ცხოვრების" სხვადასხვა ასპექტები – მოგონებები, განცდები, ასოციაციები.

ჯ. ბალა. ძალა-ხაზები. 1916-17



ჯ. ბალა. ხმაურის და სიჩქარის სკულპტურული კომპოზიცია. 1914-15

"ჩვენი ტილოები პლასტიკურ ექვივალენტებს ასახავს ხმაურისა, სუნისა თეატრში, კინოში, სიროსკიპოში, სადგურში, პორტში, კლინიკაში, სახელოსნოში"

კ.კარა

ფუტურისტულ ნამუშევრებში ასახვას ჰპოვებს თანამედროვე ეპოქის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ხმაური, რომელმაც ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვასთან ერთად მოიცვა სამყარო. ამ მოვლენამ მოხიბლა ფუტურისტები და ბგერის ასახვა მხატვრებმა ვიზუალური საშუალებებით სცადეს, რაზეც მათი ნამუშევრების სახელწოდებებიც მეტყველებს. ჯ. ბალა ფუტურისტულ ქანდაკება – კონსტრუქციებში პლასტიკური ფორმების, ფერის, მოძრაობის, ბგერის გაერთიანებას ისახავდა მიზნად. უ.ბოჩონი, სკულპტურის შექმნისას პლასტიკური ემოციის გაძლიერების მიზნით სხვადასხვა მასალას იყენებდა (შუშა, ხე, მუყაო, ტყავი, სარკე და ა.შ.), რითაც მან საფუძველი ჩაიყარა ასამბლიაჟის ხელოვნებას.

ასამბლიაჟი (ფრ. assemblee კრება) – "ობიექტის ხელოვნების" ნაირსახეობა, სიბრტყეზე ან სივრცეში შექმნილი საგნების კომბინაცია. ტერმინი "ასამბლიაჟი" კრებითი განსაზღვრება, რომელიც საგნობრივი კომბინაციების სხვადასხვა ვარიანტებს მოიცავს (რეალური ობიექტები ფერწერულ ნამუშევარში, მზა ფორმებისაგან შედგენილი კომპოზიციები, საგნების მონტაჟი ვერტიკალურ სიბრტყეზე).





1913 წელს ლ.რუსოლოს ავტორობით გამოქვეყნებული მანიფესტი "ხმაურის ხელოვნება" "ნატურალური" ხმაურისაგან შექმნილი მუსიკის იდეას ქადაგებდა (ზემოადნიშნული მანიფესტი შტოკჰაუზენის, ჯ.ქეიჯის მუსიკალური ექსპერიმენტების წინაპირობად იქცა). კ.კარას მანიფესტის ("ბგერების, ხმაურის, სუნების ფერწერა" 1912 წ.) თანახმად კი თითოეული ამ არავიზუალური ფენომენის შეგრძნება და განსახიერება ფერებისა და ფორმების მეშვეობით იყო შესაძლებელი.



ბრუიტისტული (ფრ. bruit – ხმაური) მუსიკის შესაქმნელად ფუტურისტების მიერ კონსტრუირებული იყო სპეციალური, საკმაოდ რთული "არამუსიკალური" ინსტრუმენტი "ხმაურგარმონი". ბრუიტისტულ მუსიკალურ "საკრავებს" წარმოადგენდა: სასტვენები, ყუთები, ტაფები, ქვაბები და ა.შ.

მხატვარ ფუტურისტთა პირველი გამოფენა პარიზში, 1912 წ., შემდეგ კი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: ლონდონში, ბერლინში, ბრიუსელში, ჰამბურგში, ამსტერდამში, ჰაგაში, ფრანკფურტში, დრეზდენში, ციურიხში, მიუნხენში, ვენაში გაიმართა და სკანდალური წარმატება ხვდა წილად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ფუტურისტების ნამუშევრები არ გამოფენილა, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სერიოზული გამოხმაურება ამ მიმდინარეობამ სწორედ ამ ქვეყანაში ჰპოვა. მარინეტის პირველი მანიფესტი, გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ითარგმნა რუსულად და პეტერბურგში გაზეთის ("სადამო") ფურცლებზე გამოქვეყნდა. მან მხატვართა და ლიტერატორთა ყურადღება მიიპყრო. რუსეთში **კუბოფუტურისტული** მოძრაობა (ფრანგული კუბიზმის პლასტიკური პრინციპების და ფუტურისტული ესთეტიკის სინთეზს წარმოადგენდა) და **ლუჩიზმი** ჩამოყალიბდა (ნ.გონჩაროვა, მ.ლარიონოვი), რომელიც ენერგეტიკული ველებისა და "ძალოვანი ხაზების" შესახებ ჩამოყალიბებულ ფუტურისტულ დოქტრინას ეყრდნობოდა.

ვენეციაში "ფუტურიზმის მანიფესტის" 80 000 ეგზემპლარი ეკლესიის სამრეკლოდან გაავრცელეს.

რეალიზმის უარყოფა ფუტურისტულ ნამუშევრებში უშუალოდ იყო დაკავშირებული ინტუიტივიზმის მოძღვრებასთან, რომელიც ფ.ნიცშეს იდეებთან ერთად ფუტურიზმის, როგორც მიმდინარეობის ფილოსოფიურ ბაზას წარმოადგენდა. კუბისტების კვალდაკვალ ფუტურისტები შემოქმედების საფუძვლად ინტუიციას მიიჩნევდნენ და სამყაროს მართვას "შემოქმედებით ინტუიციის" მეშვეობით ვარაუდობდნენ. ფ.ნიცშეს ზეადამიანის მსგავსად მათი "იდეალური გმირი" უარყოფდა ნორმებს, ტრადიციულ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურას, წარსულის მხატვრულ ღირებულებებს, ის "მომავლის ხელოვნებას" ძველი კულტურის ნანგრევებზე აგებდა (ფუტურისტულ მანიფესტში – "ხელოვნების მექანიზმები", "ახალი" ადამიანის იდეალია წარმოდგენილი - ადამიანი რობოტი, ან პიროვნება, რომელიც ზეადამიანის იდეას განასახიერებს).

ფ.ნიცშე (1844-1900) გერმანელი ფილოსოფოსი, ირაციონალიზმისა და ვოლუნტარიზმის წარმომადგენელი, ცხოვრების ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ვოლუნტარიზმი (ლათ. voluntas – ნება) ირაციონალური ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარყოფს ობიექტური კანონებისა და ადამიანის გონების როლს საზოგადოების ისტორიაში. ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს ღვთაებრივ ან დიდ პიროვნებათა ნებას. სწორედ ამიტომ ეწოდება ამ მიმართულებას ნებისყოფის ანუ ვოლუნტარიზმის თეორია (წარმომადგენლები: ა.შოპენჰაუერი, ეჰარტმანი, ფ.ნიცშე და სხვ.).

ფუტურიზმმა დიდი გავლენა მოახდინა XX ს-ის ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე, განსაკუთრებით თეატრზე და კინოხელოვნებაზე. ფუტურისტების მიერ აპრობირებული მხატვრული ფორმებით სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობის წარმომადგენლები დაინტერესდნენ. ფუტურიზმი, როგორც ერთიანი მხატვრულ-ესთეტიკური მოძრაობა პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დასრულდა. ომის შემდეგ ფუტურისტებმა სხვადასხვა მიმართულებით განაგრძეს მოღვაწეობა.



"მე გასწავლეთ თქვენ ბიბლიოთეკების და მუზეუმების საძულვილი. ეს იმისათვის, რომ მომემზადებინეთ შეგძულებოდათ გონება და გამეღვიძებინა თქვენში ლათინური რასების სახასიათო თავისებურება - ღვთაებრივი ინტუიცია"

ფ.ტ. მარინეტი

კუბოფუტურიზმი 1910-იან წლებში რუსულ ფერწერასა და პოეზიაში გაბატონებული ავანგარდული მიმდინარეობაა, რომელიც გარდამავალ ეტაპს წარმოადგენდა XX ს-ის პირველი ათწლეულის ძიებებიდან, რუსული ავანგარდის ისეთ მნიშვნელოვან მიმდინარეობებზე, როგორიც სუპრემატიზმი და კონსტრუქტივიზმია. სახვით ხელოვნებაში კუბოფუტურიზმი კუბიზმის, ფუტურიზმის და რუსული ნეოპრიმიტივიზმის საფუძველზე აღმოცენდა. კუბოფუტურიზმის მხატვრულ საშუალებებს შემოქმედების ცალკეულ ეტაპზე მიმართავდნენ: კ.მალევიჩი, ნ.გონჩაროვა, ო.როზანოვა, ლ.პოპოვა, ა.ექსტერი. კუბოფუტურიზმის მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფციის თანახმად ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვისათვის პრინციპულად ახალი მხატვრული საშუალებების დანერგვა იყო აუცილებელი. კუბოფუტურისტულ ნამუშევრებში ბუნებრივი რითმის, თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი მექანიკური რითმით ჩანაცვლების ტენდენცია ნათლად იჩენს თავს. კომპოზიციები ცილინდრის, კონუსის, პრიზმის ფორმის მოცულობითი ფერადოვანი ფორმების საფუძველზეა აგებული.



ლ. პოპოვა. ფერწერული
არქიტექტონები. 1916-17

ლ. პოპოვა. ჩანახატი
პორტრეტისთვის. 1915



კ. მალევიჩი. დინამიკური მოწყობა.
1912-13

კ.მალევიჩის პირველი კუბოფუტურისტული ნამუშევრები ექსპონირებული იყო 1913 წ. გამოფენაზე "მიზანი". (ამ გამოფენაზე შედგა მ.ლარიონოვის ლუჩიზმის დებიუტიც). კუბოფუტურისტების ტილოები სრულად იქნა წარმოდგენილი პირველ ფუტურისტულ გამოფენაზე "ტრამვაი B" (1915 წ. თებერვალი, პეტროგრადი) და ნაწილობრივ უკანასკნელ ფუტურისტულ გამოფენაზე "0,10" (1915 წ. დეკემბერი, პეტროგრადი), სადაც კ.მალევიჩის ახალი "გამოგონების" – სუპრემატიზმის პრეზენტაცია შედგა.



კუბოფუტურისტი მხატვრები აქტიურად თანამშრომლობდნენ პოეტ – ფუტურისტებთან. აღსანიშნავია, რომ ალოგიკურობა და აბსურდულობა, როგორც მხატვრების ასევე პოეტების ნამუშევრებში პარალელურად იჩენდა თავს. მალევიჩი კუბოფუტურისტული ტილოების ამ თავისებურებას იმ სპეციფიკურ საბაზისო ნიშნად მიიჩნევდა, რომელიც მათ მიერ შექმნილ კომპოზიციებს კუბისტებისა და ფუტურისტების ნამუშევრებისაგან გამოარჩევდა. კუბოფუტურისტული ალოგიკური კომპოზიციები ფაქტობრივად აბსურდის ესთეტიკას ანვითარებდა, რომელიც დასავლეთ ევროპაში გაბატონებული ავანგარდული მიმდინარეობების – დადაიზმის, სიურეალიზმის სახასიათო თვისებურებას წარმოადგენდა.

ო. როზანოვა. თამაში ჯოჯოხეთში. 1914

რუსეთში რამდენიმე ფუტურისტული დაჯგუფება იყო. ("გილეა", "ახალგაზრდული კავშირი", "ვირის კუდი" და ა.შ.) "გილეაში" გაწევრიანებული ლიტერატორები ტექსტის აგების ტრადიციული სისტემის შეცვლას ცდილობდნენ. მათ მიერ ჩამოყალიბებული ლექსის სტრუქტურის ახალი პრინციპები კომპოზიციურ ცვლილებებსა და აზრობრივ პარადოქსებს ეფუძნებოდა. ფუტურისტი პოეტები არქაულ ფოლკლორულ და ყოფით ლექსიკას მიმართავდნენ და ახალ სიტყვებს ქმნიდნენ (ვ.ხლებნიკოვი, ა.კრუჩონიხ, ვ.კამენსკი), მიმართავდნენ შერეულ ჟანრებს (მაგ.: ფუტურისტული ოპერა "გამარჯვება მზეზე").

ლუჩიზმი(რუს. луч – სხივი) – კამერული მიმდინარეობა რუსულ ავანგარდულ ხელოვნებაში, რომელიც კუბიზმის, ფუტურიზმის პრინციპების და ფიზიკის დარგში უახლესი აღმოჩენების საფუძველზე აღმოცენდა. ლუჩიზმი რუსული ფუტურიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა. მისი ფუძემდებლები იყვნენ რუსი მხატვრები – მიხაილ ლარიონოვი და მისი მეუღლე, ნატალია გონჩაროვა. ლუჩიზმის დებიუტი 1913 წელს (გამოფენაზე "მიზანი") შედგა. იმავე წელს გამოქვეყნებულ იქნა მანიფესტი, რომელიც მ.ლარიონოვმა ფუტურიზმის თეორეტიკოსის, ფილიპო ტომაზო მარინეტის ლექციების გავლენის შედეგად დაწერა. მანიფესტი ფუტურისტულ იდეებს ეფუძნებოდა, მაგრამ ამავე დროს რუსული, აღმოსავლური (დასავლურთან შედარებით) ღირებულებების მნიშვნელობას აღიარებდა. მანიფესტის თანახმად ლუჩიზმის არსი ტილოზე საგნების ხილული ფორმების ნაცვლად, საგნების შუქური და ენერგეტიკული სხივების გადაკვეთისაგან მიღებული შთაბეჭდილების დაფიქსირებაში მდგომარეობდა.

"გაუმარჯოს ნაციონალურ მოძრაობას, გაუმარჯოს ლუჩისტურ სტილს"

მ.ლარიონოვი



მ. ლარიონოვი. რეიონისტული პეიზაჟი. 1912

ნ. გონჩაროვა. ყვითელი და მწვანე ტყე. 1913

ლუჩისტური ტილოები (1911-14 წლები) სხვადასხვა ფერის სხივების, სხივური ფორმების, საგნების სხივური დიაგრამების აბსტრაქტულ შეხამებას წარმოადგენდა, რომელიც საგნების გამოთავისუფლებულ ენერგიას განასახიერებდა (ლარიონოვის იდეების თანახმად ხელოვნებაში მეოთხე განზომილება სხივურ – ენერგეტიკული განოზომილებაა).

ლუჩიზმი ანუ რეიონიზმი (ფრ. rayon – სხივი) აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთ პირველ ფორმას წარმოადგენდა.

ექსპრესიონიზმი

ექსპრესიონიზმი (ლათ. expressio – გამოხატვა) - ავანგარდული მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც XX ს-ის დასაწყისში გერმანიაში ჩამოყალიბდა. ექსპრესიონიზმის შემოქმედებითი პრინციპები, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით გერმანიასა და ავსტრიაში სარგებლობდა, ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და ხელოვნების სხვა დარგებიც მოიცვა: ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა.

ა. იავლენსკი.
ალექსანდრე სახაროვი. 1909

ექსპრესიონიზმის კონცეფცია იდეალისტური ფილოსოფიის პრინციპებს ეფუძნებოდა. ექსპრესიონიზმის არსი მხატვრის გრძნობების, განცდების, მისი სულის ირაციონალური მდგომარეობების – ტრაგიკული და ეგზისტენციურ-დრამატული სპექტრების: შიში, შფოთვა, უიმედობა, სევდა, დაუკმაყოფილებლობა, ნოსტალგია და ა.შ. გამოსახვაში მდგომარეობდა. ინსტინქტი გონების წინააღმდეგ – ფ.ნიცშეს ესთეტიკის ამ ერთ-ერთი უმთავრესი თეზისის გარშემო გაერთიანებული ექსპრესიონისტი მხატვრების ამბოხი ურბანიზმის, ტექნოგენური ცივილიზაციის, ადამიანის ცხოვრების რაციონალური და პროგრამული რეგლამენტაციის წინააღმდეგ იყო მიმართული (რაც მათ მიერ ტოტალური გაუცხოების ძირითად მიზეზად იყო მიჩნეული).

ექსპრესიონისტთა ნამუშევრებს ერთგვარი ინტუიციური "ბარბაროსული უშუალობა" ახასიათებდა. ექსპრესიონისტები იმპრესიონიზმის წარმომადგენლებს პასიურობაში ადანაშაულობდნენ, უპირისპირდებოდნენ სალონური ოფიციალური ხელოვნების დოგმებს და "უტყუარ რეალობად" მხოლოდ მხატვრის ინდივიდუალურ სულიერ სამყაროს მიიჩნევდნენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტილოზე გარემოს ნატურალისტურად დაფიქსირების ნაცვლად მათ მთავარ ამოცანას გარემოს, ადამიანების, სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ მხატვრის სუბიექტური დამოკიდებულების ასახვა წარმოადგენდა.

ექსპრესიონისტთა ნამუშევრები ნათლად ასახავს ეპოქის სულს, სოციალურ-პოლიტიკური პერიპეტიების პირობებში ევროპის მხატვრულ-ინტელექტუალური წრეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას – შეშფოთებას, იმედგაცრუებას. ექსპრესიონისტთა შემოქმედებას ახასიათებს სწრაფვა მისტიკისა და პესიმიზმისკენ. მხატვრების მიერ ტილოზე წარმოდგენილი გამოსახულება ადამიანის დაძაბული სულიერი მდგომარეობის პროექციაა – შეშფოთებული, შეშინებული, მარტოსული ადამიანის ცნობიერების პრიზმაში "გარდატეხილი რეალობა", სადაც საგნები, სხეულები დეფორმირებულია, ფორმები გამარტივებული, დეტალები ჰიპერბოლიზებული, ადამიანების პოზები, ჟესტები გროტესკული, კომპოზიციური რაკურსები უჩვეულო, დინამიკური, სასურათო სივრცის პლანები აღრეული, შუქ-ჩრდილის კონტრასტები უკიდურესად მკვეთრი, ფერები ჟღერადი, მათი შეხამება დისონანსური, დისჰარმონიული.

ე.ლ. კირხნერი. ქუჩა.დრეზდენი. 1908



ე.ლ. კირხნერი. ბერლინი. 1913

ექსპრესიონისტი მხატვრები უშუალო წინამორბედებად და თანამოაზრეებად ვან გოგს, ემუნკს და ჯ.ენსორს მიიჩნევდნენ.

ემუნკის "ყვირილი" (1893 წ.) ფაქტობრივად ექსპრესიონისტული იდეების კვინტესენციას წარმოადგენს. სასურათო სიბრტყეზე აბსტრაქტულ სივრცეში შიშისაგან დაზაფრული, პირდაღებული ადამიანია გამოსახული. რატომ ყვირის ის? მხატვარი არ გვიჩვენებს რეალურ ხილულ საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება, ამიტომ მაყურებელს შეუძლია შიშის, ტკივილის, ტანჯვის რადაც საყოველთაო მიზეზი იგულისხმოს.



ე. მუნკი. ყვირილი. 1893

ჩვენს წინაშე თითქოს "უთვისებო ადამიანია". სამყაროსთან მისი ერთადერთი მაკავშირებელი მხოლოდ მისი გრძნობაა – შიში ამ სამყაროს არასრულყოფილების, დისჰარმონიულობის, არაადამიანურობის მიმართ. ამ ადამიანის ბაგეები სურათის კომპოზიციური ცენტრია. მის გარშემო სივრცე მზარდი წრეების მეშვეობითაა ორგანიზებული – თითქოს მისი "სულის ყვირილი" კონცენტრირებული წრეების სახით ვრცელდება მთელს სასურათო სიბრტყეზე – მთელს სამყაროში. მაგრამ ეს სამყარო "გულგრილია" ადამიანის სულიერი ტკივილის მიმართ. ადამიანი სასტიკი სინამდვილის წინაშე სრულად უმწეოა. გაუცხოებულ სამყაროში მას ისღა დარჩენია იყვიროს... იყვიროს დახმარების იმედის გარეშე...

ექსპრესიონისტული მსოფლმხედველობის თანახმად ადამიანი "მახინჯ" სამყაროში, ტოტალური გაუცხოების პირობებში ცხოვრობს. ის უსუსურად, მიუსაფრად გრძნობს თავს მისადმი მტრულად განწყობილ გარემოში. ექსპრესიონისტი მხატვრებისათვის მნიშვნელოვანმა და აქტუალურმა თემამ – ადამიანის ტანჯვის, მარტოობის პრობლემამ ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიაში ჰპოვა გამოძახილი.



ე. შილე. შიშველი მამაკაცი
წითელი სახვევით წელზე . 1914

"დახეტიალობს საჭის გარეშე,
იმ ქარის ნებით, რომელიც
სიკვდილის ქვენა სფეროებში ჰქრის"
ფ.კაფკა

ეგზისტენციალიზმი (ლათ. exsistentia – არსებობა) ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის არსებობის შესახებ. ჩამოყალიბდა XX საუკუნეში. ძირითადი წარმომადგენლები: კ.იასპერსი, ნ.ბერდიაევი, მ.ჰაიდეგერი, ჟ.პ.სარტრი, ა.კამიუ და სხვ.
ეგზისტენციალიზმი ირაციონალური ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომლის მიზანს ადამიანის არსებობისა და მასთან დაკავ-შირებული პრობლემების კვლევა წარმოადგენს. ეგზისტენციალიზმის თანახმად ადამიანის სულიერი სამყაროს და მისი ეგზისტენციური ფენომენების წვდომა რაციონალური მეთოდებით შეუძლებელია (წვდომის ფუნქციას მხოლოდ ინტუიცია და ემოციური განცდა ასრულებს). ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიური კონცეფციის მიხედვით ადამიანის არსებობის ძირითადი მოდუსებია: ზრუნვა, შიში, გამბედაობა (სიმტკიცე), სინდისი. ადამიანი ეგზისტენციის, როგორც საკუთარი სიცოცხლის არსის საფუძველს მოსაზღვრე სიტუაციებში (სასოწარკვეთა, შიში, ბრძოლა, ტანჯვა, სიკვდილი) სწვდება. საკუთარი თავის, როგორც ეგზისტენციის შეგნება მას თავისუფლებას ანიჭებს, თავისუფლება კი მისი არჩევანია, რომელიც მას უდიდეს პასუხის-მგებლობას აკისრებს. ეგზისტენციალიზმი ეჭვის ქვეშ აყენებს სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების და საერთოდ მეცნიერების როლს საზოგადოებრივი ისტორიის განვითარებაში. ეგზისტენციალიზმის კონცეფციის თანახმად ტექნიკურმა პროგრესმა პიროვნების გაუცხოების პრობლემა წარმოშვა, რამაც გამოიწვია ადამიანთა პიროვნული დირსებების ნიველირება, სტანდარტიზაცია და "თავისუფლების" დაკარგვა.

მიმდინარეობას, დომინანტური შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად კრიტიკოსებმა "ექსპრესიონიზმი" უწოდეს. ტერმინი "ექსპრესიონიზმი" და "ექსპრესიონისტი" პირველად სახელოვნებო ლიტერატურაში დაახლოებით 1911 წელს გაჩნდა, როგორც ევროპული ავანგარდის აღმნიშვნელი ტერმინი:

გერმანელმა ხელოვნების ნიმუშების დილერმა პ.კასირერმა იმპრესიონისტებისაგან გამიჯვნის მიზნით ე.მუნკს "ექსპრესიონისტი" უწოდა.

1911 წლის აგვისტოში ხელოვნების ისტორიკოსმა ჯ.უორინგერმა ჟურნალში "შტურმი" პ.სეზანი, ვან გოგი, ა.მატისი "ექსპრესიონისტებად" მონათლა.

1913 წელს ჰ.ვალდენმა ჯგუფი "ლურჯი მხედარი" გერმანელი ექსპრესიონისტების სახელით წარადგინა. 1918 წელს მან საკუთარ ნაშრომში ფუტურისტები, კუბისტები და ჯგუფ "ლურჯი მხედარის" მხატვრები ამ ტერმინის მეშვეობით გააერთიანა.

1914 წელს ჰ.ფეჩერის წიგნი "ექსპრესიონიზმი" ორი დაჯგუფების ("ხიდი" და "ლურჯი მხედარი") მხატვართა შემოქმედებაზე იყო ფოკუსირებული.

1928 წელს პარიზში გამართულ გამოფენაზე, სახელწოდებით "ფრანგული ექსპრესიონიზმი", ჩ.სუტინის, ა.მოდილიანის, მორის დე ვლამინკის, მ.უტრილის, მ.შაგალის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

"ფერწერა ჩემთვის საშუალებაა, იმისათვის, რომ დავივიწყო ცხოვრება, ეს არის ყვირილი ღამეში, შეკავებული ტირილი, ჩუმი ღიმილი. მე უხმო მეგობარი ვარ მათი ვინც უხმოდ იტანჯება".

ჟ.რუო.

ა. მოდილიანი. ჟანა ებიუტერნი. 1918

ექსპრესიონიზმა ევოლუციის რამდენიმე ეტაპი გაიარა. განვითარების პირველ პერიოდს მიეკუთვნება ჯგუფ "ხიდის" ("Die Brucke"), "ლურჯი მხედარის" ("Der Blaue Reiter"), მხატვართა შემოქმედება.

ო. მიულერი. მაშკა ნიღბით. 1918

მხატვართა გაერთიანება – ჯგუფი "ხიდი" 1905 წელს დრეზდენში ოთხი სტუდენტი-არქიტექტორის: ერნსტ ლუდვიგ კირხნერის, ფრიც ბეილის, ერიკ ჰეკელის, კარლ შმიდტ-როტლუფის თაოსნობით ჩამოყალიბდა. ჯგუფის დამფუძნებლები რეალიზმის, იმპრესიონიზმის შემოქმედებით პრინციპებს უპირისპირებოდნენ. "ხიდის" მხატვართა პირველი გამოფენა 1906 წელს დრეზდენში, ლამფების მაღაზიაში გაიმართა. ჯგუფში მოგვიანებით გაწევრიანდნენ ე.ნოლდე, მ.პეხშტეინი, ო.მიულერი და სხვ. 1911 წელს ჯგუფი ბერლინში გადავიდა, 1913 წელს კი, მას შემდეგ, რაც ლ.კირხნერმა "ხიდის ქრონიკები" გამოაქვეყნა (გაერთიანების სხვა წევრებთან უთანხმოების გამო) ჯგუფმა შეწყვიტა არსებობა.

"ვან გოგი ჩვენი საერთო მასწავლებელია".

მ.პეხშტეინი.



ვან გოგი. ავტოპორტრეტი. 1889

ე.ნოლდე მეგობრებს ურჩევდა, რომ ექსპრესიონისტთა პირველი დაჯგუფების სახელწოდება "ხიდის" ნაცვლად "ვან-გოგიანა" ყოფილიყო.

ალმანახი
„ლურჯი მხედარი“

1909 წელს ვ.კანდინსკის და ა.იავლენსკის ინიციატივით "ახალი მხატვრული გაერთიანება" ჩამოყალიბდა. 1911 წელს ვ.კანდინსკიმ და ფ.მარკმა დაარსეს ალმანახი "ლურჯი მხედარი". ალმანახის რედაქციამ ფ.მარკის, ა.მაკეს, ვ.კანდინსკის ნამუშევართა გამოფენა გამართა. 1912 წ. შეიქმნა გაერთიანება "ლურჯი მხედარი" (ჯგუფში გაწევრიანდნენ ა.მაკე, პ.კლეე, ა.კუბინი და სხვ).

"ლურჯი მხედარის" მხატვართა შემოქმედებას ("ხიდისაგან" განსხვავებით) ნონფიგურაციული ხელოვნებისადმი სწრაფვა ახასიათებდა. ხელოვანთა ძირითად მიზანს გრძნობების, საგნების ტრანსცენდენტული არსის ასახვა წარმოადგენდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად ჯგუფმა შეწყვიტა არსებობა. დაიწყო ექსპრესიონიზმის განვითარების ახალი ეტაპი (გ.ბეკმანი, კ.ჰოფერი, ო.დიქსი).

ტრანსცენდენტული (ლათ. transcendens (transcendentis) – რაც საზღვარს სცილდება):
1.იდეალისტურ ფილოსოფიაში აღნიშნავს იმას, რაც ცნობიერების და შემეცნების საზღვრებს მიღმაა.
2.კანტის იდეალისტურ ფილოსოფიაში: ის რაც დაფუძნებულია შემეცნების აპრიორული, ცდისაგან დამოუკიდებელი ფორმების აღიარებაზე.

ვ. კანდინსკი. მურნაუ.ბაღიII. 1910

ა. იავლენსკი. წითელი გზა. 1905



ვ. კანდინსკი. კონცერტი. 1911



ფ. მარკი. პატარა ყვითელი ცხენები. 1916

ფ. მარკი. ლურჯი ცხენი I. 1911

1930 წელს ვ.კანდინსკიმ მომაბეზრებელ ჟურნალისტს ჯგუფის სახელწოდება ("ლურჯი მხედარი") ირონიულად ასე განუმარტა: ორივეს გვიყვარდა ლურჯი ფერი, ამას გარდა მარკს უყვარდა ცხენები, მე კი მხედრები.

ე. ნოლდე. სანთლებით მოცეკვავეები.1917

ექსპრესიონიზმის წარმომადგენლები სუბიექტური გრძნობადი, ემოციური, ვიზუალური თუ სულიერი (ფ.მარკი, ე.ნოლდე, ვ.კანდინსკი, მ.შაგალი, ჟ.რუო) გამოცდილების ტილოზე დაფიქსირების მიზნით სპეციფიკურ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს მიმართავდნენ. სულიერი პირველსაწყისებისაკენ გზას ექსპრესიონისტთა უმრავლესობა უძველეს **პრიმიტიულ ხელოვნებაში** ხედავდა, რომელიც მათ მიერ ორგანული სამყაროსა და კოსმოსის ერთიანობის თვალსაჩინო მაგალითად იყო მიჩნეული (მაგ.: ფ. მარკის, აგრეთვე რუს ნეო-პრიმიტივისტთა შემოქმედება).

ტერმინი **პრიმიტიული ხელოვნება** ფაქტობრივად ნაივური ხელოვნების იდენტურია და სხვადასხვა ენაზე მხატვრული მოვლენების ერთი და იგივე წრეს აღნიშნავს: არქაული, ფოლკლორული, მოყვარულთა და არაპროფესიონალ მხატვართა შემოქმედება და XX ს-ის მხატვარ – პრიმიტივისტთა ხელოვნება (ა.რუსო, კ.ბომბუა, ნ.ფიროსმანიშვილი, ი.გენერალიჩი, ა.რობერტსონი და ა.შ.).

ნაივური ხელოვნების მთავარ თავისებურებას მხატვრული საშუალებების გამარტივება წარმოადგენს. ეს არის თვითმყოფადი, უშუალო, სპონტანური, ინტუიციური, მხატვრულ-იდეოლოგიური პირობითობის ტვირთისაგან, კულტურულ-სოციალური წესებისა და აკრძალვებისაგან თავისუფალი ხელოვნება. ნაივური ხელოვნება მსოფლმხედველობითა და მხატვრული პრეზენტაციის ფორმებით ბავშვთა ხელოვნებას უახლოვდება, რაც შეეხება არქაულ ხელოვნებას, პრინციპული განსხვავება ამ უკანასკნელის ღრმა საკრალურობაში, ტრადიციულობასა და კანონიკურობაში მდგომარეობს.



ნ. ფიროსმანაშვილი. ჟირაფი.



ა. რუსო. პიერ ლოტის პორტრეტი.

ნაივური ხელოვნების ნიმუშების ინდივიდუალური სტილისტიკა უაღრესად მრავალფეროვანია, თუმცა მათ უმრავლესობას ახასიათებს: სიბრტყობრიობა, გამარტივებული რითმულობა და სიმეტრიულობა, ლოკალური ფერების აქტიური გამოყენება, ფორმების განზოგადოება, საგნების დეფორმაცია, კონტურის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ტექნიკური საშუალებების სიმარტივე, ხაზობრივი პერსპექტივის კანონების უარყოფა (სიღრმეს პრიმიტივისტები ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მასშტაბის ფიგურების, ფორმების და ფერადოვანი ლაქების განსაკუთრებული ორგანიზაციის მეშვეობით გადმოსცემენ).

მხატვარ-პრიმიტივისტთა მიერ შექმნილ ორიგინალურ, პოეტურ, ამაღლებულ მხატვრულ სამყაროში, ბუნებასა და ადამიანს შორის ერთგვარი იდეალური ნაივური ჰარმონია სუფევს. ეს ნაივური ხელოვნების ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომელიც XX ს-ის მხატვარ ავანგარდისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ნაივური ხელოვნების პრინციპებს, გამოსახვის ფორმებსა და საშუალებებს XX ს-ის ცნობილი მხატვრები მიმართავდნენ (ექსპრესიონისტები, პ.კლეე, მ.შაგალი, ხ.მირო, პ.პიკასო და სხვ). მათთვის ნაივური ხელოვნება მხატვრული კულტურის ცივილიზაციის ჩიხიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა.

ექსპრესიონიზმის მხატვრული ხერხებით XX ს-ის I მესამედში ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები დაინტერესდნენ.
არქიტექტურა: მ.პელციგი, რ.შტაინერი, ლე კორბუზიე.
სკულპტურა: ე.ბარლახი, უ.ლენბრუკი.
ლიტერატურა: გ.მეირინკი, ლ.ფრანკი, ფ.კაფკა.
დრამატურგია: ვ.ჰაიზენკლევერი, ე.ტოლერი, გ.კაიზერი
თეატრი: ლ.იესნერი, გ.ჰარტუნგი, კ.მარტინი, ი.ფელინგი.
მუსიკა: ა.შონბერგი, ა.ბერგი. (ექსპრესიონიზმის ნიშნებმა თავი იცინა პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის და ონეგერის შემოქმედებაში.)

ა.შონბერგი (schonberg) (1874-1951) ავსტრიელი კომპოზიტორი, თეორეტიკოსი და პედაგოგი. მუსიკალური ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი, ე.წ. ახალი ვენის სკოლის ხელმძღვანელი, ატონალური მუსიკის ფუძემდებელი. თანამშრომლობდა მხატვართა დაჯგუფებასთან "ლურჯი მხედარი". 20-იანი წლების დასაწყისში შეიმუშავა მუსიკალური კომპოზიციის 12-ტონიანი სისტემა-დოდეკაფონია. 1933 წელს ემიგრირებული იყო აშშ-ში.

დოდეკაფონია (ბერძ.dodeka – თორმეტი, phone – ბგერა) მუსიკის შექმნის მეთოდი, რომელიც ატონალიზმის განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა. დოდეკაფონიის ტექნიკის საშუალებით დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები ე.წ. სერიებიდან (რიგებიდან), სხვადასხვა სიმაღლის თორმეტი ბგერის განსაზღვრული თანმიმდევრობიდან მომდინარეობს (ქრომატულ ბგერათა რიგის ყველა ტონს აერთიანებს, რომელთაგან არც ერთი არ მეორდება).

ექსპრესიონიზმის კონცეფცია განსაკუთრებით მისაღები გახდა კინოხელოვნებისათვის. რეჟისორები (პ.ვეგენერი, ფ.ვ.მურნაუ, რ.ვინე, ფ.ლანგი და სხვ.) ექსპრესიონისტთა მიერ სახვით ხელოვნებაში დანერგილ სპეციფიკურ გამომსახველობით ხერხებს მიმართავდნენ: შუქ-ჩრდილის მკვეთრი კონტრასტები, საგნების დეფორმაცია, მსხვილი პლანები, ჟესტიკულაციის უტრირება, გროტესკული მიმიკა, განათების ეფექტები და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ექსპესიონისტული ფილმები ადამიანის არაცნობიერ სამყაროს (სიზმრებს, ჰალუცინაციებს, კოშმარებს) ასახავდა. კინოფილმების გმირები ფანტასტიკურ-მისტიკურ არსებებს წარმოადგენდნენ: მაგ.: გოლემი, ნოსფერატუ, სომნამბულა და ა.შ.



კადრი ფილმიდან
„ექიმ კალიგარის კაბინეტი". 1920



ჰ. პელციგი. დიდი თეატრი.
ბერლინი 1919

გერმანელმა ნაცისტებმა ექსპრესიონისტთა შემოქმედება კანონ გარეშე გამოაცხადეს. ექსპრესიონისტთა უმრავლესობა ემიგრაციაში წავიდა. 1937 წელს მათი თაოსნობით მიუნხენში ექსპრესიონისტი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, სახელწოდებით "degenerative art" (გადაგვარებული, დეგენერაციული ხელოვნება).

ა.ჰიტლერი, ი.გებელსი, ა.ზიგლერი
ექსპრესიონისტთა ნამუშევრების გამოფენაზე

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კ.შმიდტ-როტლუფმა და მ.პეხშტეინმა ბერლინში სახვითი ხელოვნების კოლეჯი დაარსეს, სადაც სწავლობდნენ მ.ბაზელიცი, კ.ჰოდიკი, მ.კობელინგი და სხვ.

XX ს-ის II ნახევარში ექსპრესიონიზმის შემოქმედებითი პრინციპებით საზრდოობდნენ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის, ტაშიზმის წარმომადგენლები.

ნეო ექსპრესიონიზმი 1970-იან წლებში გერმანული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმდინარეობას წარმოადგენდა.

აბსტრაქციონიზმი

"ახალმა ფერწერამ ხილულად
უნდა აქციოს ის, რაც უხილავია"
ვ.კანდინსკი.

აბსტრაქციონიზმი (ლათ. abstractus- განყენებული) – ავანგარდული მიმდინარეობაა XX ს-ის სახვით ხელოვნებაში, რომელიც 1910-13 წლებში ჩაისახა.

აბსტრაქციონიზმი ნონფიგურატიული (უსაგნო) ხელოვნებაა, რომელიც პრინციპულად უარყოფს სახვითი ხელოვნების მიმეტიკურ ფუნქციას ("ნატურის მიბაძვა"). აბსტრაქტული ნამუშევრის მხატვრული ეფექტი ფერისა და ფორმის მხატვრულ ორგანიზაციას ეფუძნება და ინტუიციური ჰარმონიზაციის გზით სულიერ, კოსმიურ სფეროსთან რეციპიენტის უშუალო და ღრმა კონტაქტს უზრუნველყოფს. აბსტრაქტულ ფერად ფორმებს (რომელიც გამორიცხავს უტილიტარულ – ყოფით ასოციაციებს) განსაკუთრებული – აბსოლუტური ესთეტიკური მნიშვნელობა, სიმბოლური დატვირთვა, ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების განსაკუთრებული თვისება აქვს მინიჭებული.



ვ. კანდინსკი. იმპროვიზაცია 31. დეტალი. 1913

აბსტრაქციონიზმის ესთეტიკური კრედო 1912 წელს ვასილ კანდინსკიმ ჩამოაყალიბა თეორიულ ნაშრომში – "სულისმიერზე ხელოვნებაში", რომლის თანახმად ხელოვნების მიზანს რეალური, ხილული სამყაროს დაფიქსირების ნაცვლად, მოვლენების და საგნების ტრანსცენდენტური არსის ასახვა წარმოადგენს და აბსტრაქტული ტილოს შექმნის პროცესი, ხილული, მატერიალური სამყაროს კანონების ნაცვლად "სულის კანონებით" არის განპირობებული. აბსტრაქტული კომპოზიცია, რომელიც ინტენსიური ფერის უფორმო ლაქების და მრუდე ხაზების საფუძველზეა აგებული, შინაგანი აუცილებლობის ნაყოფს, "სულის ვიბრაციის", მისი მუსიკის (ანუ ჟღერადობის) სახვით განსახიერებას წარმოადგენს. შესაბამისად, მისი ავტორი ის პერსონაა, რომლის მეშვეობით სულის მხატვრულ ფორმებში მატერიალიზება ხდება შესაძლებელი. კანდინსკის მიერ მხატვარი "სულის კოსმოსის" შუამავლად არის მიჩნეული. (ვ. კანდინსკის მიერ ჩამოყალიბებული ფერის სემანტიკის სისტემის თანახმად ფერის თვისებები მუსიკალურ ასოციაციებთანაა გაიგივებული).

კოსმოსი (ბერძ. kosmos) - სამყარო.

პირველი აბსტრაქტული ტილო ვ.კანდინსკიმ 1910 წელს შექმნა. გადმოცემის თანახმად, მხატვარი მზის სხივებით განათებულმა საკუთარმა ტილომ შთააგონა, რომელიც მის სახელოსნოში თავდაყირა იდო და უჩვეულო მდებარეობის გამო, მასზე გამოსახულების გარჩევა შეუძლებელი იყო. (მეორე ვერსიის თანახმად, ვ.კანდინსკის აღფრთოვანება იმ ტილომ გამოიწვია, რომელზეც ის საღებავებს წმენდდა).



"ფერწერის მიზანი, ისევე როგორც ძალისა, ადამიანის სულის განწმენდისაკენ უნდა იყოს მიმართული"

ვ.კანდინსკი

ვ. კანდინსკი. პატარა სამყაროები I. 1922 წ.

ვ.კანდინსკი (1866-1944) აბსტრაქციონიზმს კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ გზად მიიჩნევდა. შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ის პ.გოგენის და **ფოვისტების** ფერწერით იყო გატაცებული. 1911 წელს ფ.მარკთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მხატვართა ცნობილ გაერთიანებას – "ლურჯი მხედარი". 1921 წლიდან ვ.კანდინსკი გერმანიაში ცხოვრობდა. 1920-იანი წლების დასაწყისში გატაცებული იყო გეომეტრიული აბსტრაქციონიზმის პრინციპებით. 1933 წლამდე .მუშაობდა ბაუჰაუსში.სასწავლებლის დახურვის შემდეგ ის საფრანგეთში გადავიდა, სადაც ცხოვრების ბოლო წლები გაატარა. 1944 წელს პარიზში ვ.კანდინსკის უკანასკნელი პერსონალური გამოფენა გაიმართა.

ფოვიზმი (ფრ. fauve–გარეული) მიმდინარეობა დასავლეთ ევროპის სახვით ხელოვნებაში, რომელიც XX ს-ის დასაწყისში პარიზში ჩამოყალიბდა. მიმდინარეობა არ ეფუძნებოდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პროგრამას, მანიფესტს, თეორიას, სპეციფიკურ ზნეობრივ-ფილოსოფიურ კრედოს (მაგ. გერმანული ექსპრესიონიზმისაგან განსხვავებით). ფოვისტთა ხელოვნება ერთგვარ ესთეტიკურ პროტესტს წარმოადგენდა, რომელიც XIX ს-ის მხატვრული ტრადიციების წინააღმდეგ იყო მიმართული. მხატვრები პოსტიმპრესიონისტთა მხატვრული საშუალებებით და ხერხებით მანიპულირებდნენ, პრიმიტიული ხელოვნების, შუა საუკუნეების და აღმოსავლური ხელოვნების პრინციპებით საზრდოობდნენ (ამ პერიოდში საფრანგეთში, მხატვრულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა იაპონური გრავიურა).

"Ie fauves" *– ასეთი სახელწოდება მიიღო მხატვართა ჯგუფმა (ანრი მატისი, ალბერ მარკე, ანდრე დერენი, მორის დე ვლამინკი) 1905 წელს.*

ფოვიზმის ხელოვნების სახასიათო თავისებურებას ფერწერის კოლორიტული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებისადმი სწრაფვა წარმოადგენს. ბუნება, პეიზაჟი, გარემო მათთვის არა მხოლოდ გამოსახვის ობიექტია, არამედ ინტენსიური, დაძაბული ფერადოვანი სიმფონიების შექმნის წინაპირობა. ფოვისტთა ნამუშევრებში ფორმები გამარტივებულია, ხაზობრივი პერსპექტივის და შუქ-ჩრდილით მოდელირების პრინციპები ნიველირებული. სასურათო სიბრტყე გაზოგადოებული კონტურით შემოსაზღვრული ჟღერადი, ინტენსიური, კონტრასტული ფერადოვანი ლაქების მეშვეობით არის

ორგანიზებული. რითმული, დეკორატიული ფერადოვანი კომპოზიციები მხატვრის ემოციების პროექციას წარმოადგენს.



ა. მატისი. ცეკვა I. 1909

ა. მატისი. მუსიკა. 1910

ფოვისტების მიერ აპრობირებულ კოლორიტულ საშუალებებს აქტიურად მიმართავდნენ სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობის წარმომადგენლები – ექსპრესიონისტები, აბსტრაქციონისტები და სხვ.

აბსტრაქციონიზმი ორი მიმართულებით ვითარდებოდა:
"ფერწერული აბსტრაქციონიზმი" ფოვისტებისა და ექსპრესიონისტების ფერწერული ძიებების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა. (ვ. კანდინსკი)

"სანგობრიობა მავნეა ჩემი ნამუშევრებისათვის"

ვ.კანდინსკი



ვ. კანდინსკი. აკვარელი. 1913

"გეომეტრიული აბსტრაქციონიზმი" (**ნეოპლასიტიციზმი, სუპრემატიზმი**) პ.სეზანის და კუბისტების შემოქმედებითი პრონციპებით საზრდოობდა – აბსტრაქტულ ტილოზე წარმოდგენილი კომპოზიცია გეომეტრიული ფორმების მეშვეობით იყო კონსტრუირებული (უნივერსუმის მოდელს ან კოსმიურ ყოფიერებაში გადასვლის მხატვრულ გზას განასახიერებდა).



კ. მალევიჩი. სუპრემატისტული ელემენტები. 1923



პ. მონდრიანი. ბროდვეის ბუგი-ვუგი. 1943

გეომეტრიული აბსტრაქციონიზმი პლატონის იდეალური სამყაროს მოდელის XX-ის ერთ-ერთ ვერსიას წარმოადგენს. ფილოსოფოსის მიერ აღწერილი აბსოლუტური ხასიათის „გეომეტრიული“ სილამაზე ხაზების, სიბრტყეებისა და სივრცობრივი ფორმების საფუძველზეა აგებული და რეალური ბუნების მიბაძვისაგან (მიმეზისისაგან) სრულიად თავისუფალი.

უნივერსუმი (ლათ. universum) ფილოსოფიური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს “სამყაროს, როგორც მთლიანობას”.

პლატონი – (428-427 წ. ჩვ.წ.აღ-მდე – 348-347) ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი, რომელმაც ჩამოაყალიბა იდეების თეორია. ამ თეორიის თანახმად ბუნებაში არსებული ცალკეული საგნების და მოვლენების არსება (როგორც ზოგადი) მათ გარეთ – მიღმა სამყაროში იმყოფება, რომელსაც პლატონმა იდეების სამყარო უწოდა. ბუნებაში არსებული საგნები და მოვლენები კი ცვალებადი და წარმავალია. ისინი იდეების აჩრდილებია, მათი მიბაძვაა და მაშასადამე ნამდვილი ყოფიერება არ გააჩნიათ.

აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ***ორფიზმი.*** *მისი ფუძემდებელი იყო ფრანგი მხატვარი* ***რობერტ დელონე*** *(1885-1941). მან ნეოიმპრესიონიზმის კონცეფციის და ფიზიკოს მ.შევრეილის ფერის თეორიის საფუძველზე შეიმუშავა ფერის დეკორატიულ-დინამიკური შესაძლებლობების, კოლორიტის ოპტიმალური კონტრასტების სისტემა, რომელიც ჩამოაყალიბა ესსეში “ფერის შესახებ” (1912 წ.) ესსე ორფიზმის მანიფესტს წარმოადგენდა, რომლის თანახმად ფერების სპექტრალური შეხამება (პირველადი ფერები დამატებითი ფერებით უნდა გამდიდრებულიყო) ფერწერაში გაბატონებულ “საგნობრივ” გამოსახულებას ჩაანაცვლებდა.* ***პ.მონდრიანისაგან*** *განსხვავებით რ.დელონე და მისი მეუღლე -ს.დელონე (ტერკი) ფართოდ იყენებდნენ მრუდე ხაზებსა და წრეებს.*

რ. დელონე.
უსასრულო რითმები. 1934.



რ. დელონე. სამი ფანჯარა, კოშკი და ბორბალი. 1912.

ახალი შემოქმედების სახასიათო ნიშნის ძიებისას, მე აღმოვაჩინე ხელოვნების დეჰუმანიზაციის ტენდენცია".

ხოსე ორტეგა ი გასეტი.

ორფევსი (ბერძ. orpheus) – ბერძნული მითოლოგიაში ლეგენდარული თრაკიელი მომღერალი.

ხოსე ორგეტა ი გასეტი (1883-1955) – ესპანელი ფილოსოფოსი, ხელოვნების ფილოსოფიის წარმომადგენელი. თანამედროვე მხატვრების შემოქმედების ძირითად თავისებურებად, მათი სოციალურ - ესთეტიკური იდეალების განსახიერებად, დეჰუმანიზაციას მიიჩნევდა ("ხელოვნების დეჰუმანიზაცია". 1925წ. მადრიდი).

აბსტრაქციონიზმის ცნობილი წარმომადგენლები:
ვ.კადინსკი, რ.დელონე, კ.მალევიჩი, პ.მონდრიანი, ფ.პიკაბია, ჰ.არპი, მ.ლარიონოვი, ნ.გონჩაროვა, ა.არქიპენკო, კ.ბრანკუზი და სხვ.

ნეოპლასტიციზმი (ბერძ. neos – ახალი) მიმართულება XX ს-ის სახვით ხელოვნებაში, რომელიც ჰოლანდიელი მხატვრის პიტ მონდრიანი "სუფთა პლასტიკის ხელოვნების" დოქტრინას ეფუძნებოდა. ნეოპლასტიციზმი, როგორც აბსტრაქტული ხელოვნების ნაირსახეობა, საგნობრივი სამყაროს ასახვის ტრადიციულ პრინციპებს კარდინალურად უპირისპირდებოდა. პ.მონდრიანი ფერწერას ("შუქწერა") თვითშემეცნების და ღმერთის შემეცნების საშუალებად მიიჩნევდა. ელ.ბრავატსკაიას თეოსოფიური სწავლებით გატაცებული მხატვრისათვის "სამყაროს ახალი სურათის" შექმნა ტილოს სიბრტყეზე "აბსოლუტური ჭეშმარიტების" დაფიქსირების სურვილით იყო მოტივირებული, აბსტრაქტულ კომპოზიციაზე მუშაობის პროცესი – მედიტაციურ აქტთან გაიგივებული.



პ.მონდრიანი. ფერადი კომპოზიცია ოვალში. პლანები 1. 1914.

თეოსოფიური არსის მატარებელი იყო პ.მონდრიანის დიდი ოვალური კომპოზიციები. მათი ფორმა (ოვალი-კვერცხი) ყოფილი და მომავალი გარდასახვის სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენდა.

თეოსოფია (ბერძ. theos - ღმერთი, sophia – სიბრძნე)
1. ფართო მნიშვნელობით მისტიკური სწავლება, რომლის მიზანია განსაკუთრებული, „ღვთაებრივი საიდუმლოს“ ამოხსნა.
2. ელ.ბლავატსკაიას და მისი მიმდევრების მისტიკური დოქტრინა – ბუდიზმისა და სხვა აღმ. რელიგიების, სწავლებების ეკლექტიკური ნაზავი ოკულტიზმთან და არაორთოდოქსალურ ქრისტიანობასთან.

ელ.ბლავატსკაია (1831-1891) რუსი მწერალი და თეოსოფი. იმოგზაურა ტიბეტსა და ინდოეთში. აღმოსავლური ფილოსოფიის გავლენით 1875 წელს ნიუ-იორკში ჩამოაყალიბა თეოსოფიური საზოგადოება. მისი იდეები პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ქვეყნებში (განსაკუთრებით პროტესტანტულ სკანდინავიურ ქვეყნებში, გერმანიაში, ჰოლანდიაში).

„ნამდვილი თანამედროვე მხატვარი აცნობიერებს, რომ მშვენიერების გრძნობა - კოსმიური, უნივერსალური წარმოშობისაა. ასეთ აღიარებას ის აბსტრაქტულ პლასტიციზმამდე მიჰყავს “
პ.მონდრიანი

ტერმინით „Neo-plasticisme“, მონდრიანმა მის მიერ ჩამოყალიბებული პლასტიკური კონცეფციების სისტემა განსაზღვრა, რომლის თანახმად სახვითი ხელოვნების მიზანს არ წარმოადგენს კონკრეტული რეალობის რეპრეზენტაცია. ნატურალური ფორმების და ფერის მეშვეობით შეუძლებელია უნივერსუმის ასახვა. მისი ჰარმონიის და ერთიანობის განსახიერება მხოლოდ „სუფთა ფერწერის“ მეშვეობით არის შესაძლებელი, რომელიც სამყაროს შექმნის კანონებით, „კოსმიური ცნობიერების“ პრონციპებით ხელმძღვანელობს და დაბალანსებული, გაწონასწორებული კომპოზიციის საფუძველზე არა კერძო, არამედ უნივერსალურ საწყისებს ასახავს. პ.მონდრიანის ტილოებზე წარმოდგენილი, პერპენდიკულარული შავი და ძირითადი სპექტრის ლოკალური ფერის (თეთრი, რუხი) ხაზებით გამიჯნული, სწორკუთხა, გლუვი, სუფთა ფერის (წითელი, ლურჯი, ყვითელი) სიბრტყეების საფუძველზე აგებული კომპოზიცია, მისი განმარტებით სამყაროს მოდელს განასახიერებს. (კომპოზიციები სახელწოდებების ნაცვლად ნომრებით ან ასოებით არის აღნიშნული).

უნივერსალური (ლათ. universalis) – საერთო.


პ.მონდრიანი. კომპოზიცია. 1921.

„კონსტრუქცია იბადება სუფთა ელემენტების ოპოზიციის პროცესში. იქმნება დინამიკური რითმი“
პ.მონდრიანი

პ.მონდრიანი (1872-1944) 1911 წლის შემოდგომაზე ამსტერდამში გამართულ გამოფენაზე პ.პიკასოს და ჟ.ბრაკის შემოქმედებას გაეცნო. სინთეტიკური კუბიზმის პრინციპებმა ასახვა ჰპოვა მის შემოქმედებაში, თუმცა მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით მის მიერ შექმნილ ტილოებზე კუბისტური ფორმები (მასები) ლაკონურ გეომეტრიულ ხაზებამდე იყო დაყვანილი. 1914 წელს ჰოლანდიაში დაბრუნებული მონდრიანი თეოსოფის, ფილოსოფოსის და მათემატიკოსის, დოქტორ შენმეიკერსის იდეებით, ღვთაებრივი კოსმოსის ამოცნობის სისტემით, „ქრისტოსოფიური“ გეომეტრიისა და რიცხვთა თეორიით

დაინტერესდა. 1916 წელს პ.მონდრიანმა და თეო ვან დუსბურგმა ჩამოაყალიბეს ჯგუფი „სტილი“. 1917 წლიდან გამოსცემდნენ ჟურნალს იგივე სახელწოდებით. ამ ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა პ.მონდრიანის თეორიული ნაშრომები, რომელიც ახალი მიმდინარეობის – ნეოპლასტიციზმის პრინციპებს განმარტავდა. II მსოფლიო ომის დროს (1940) მონდრიანი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად.



თეო ვან დუსბურგი. კაფე. სტრასბურგი. 1927



თეო ვან დუსბურგი.პროექტი. 1923.

პ.მონდრიანის იდეების პრაქტიკულ განხორციელებაზე ჰოლანდიაში (ლეიდენში) ჟურნალ „სტილის“ (De Stiji) გარშემო გაერთიანებული მხატვართა ჯგუფი ზრუნავდა. (თეო ვან დუსბურგი, ბრეტ ვან დერ ლეიკი, ელ.ლისიცკი). პ.მონდრიანმა გაწყვიტა კავშირი ჯგუფთან „სტილი“, როდესაც გაერთიანების წევრებმა 1924 წელს კომპოზიციის აგების ერთ-ერთ შესაძლებელ ხერხად 45°-იანი კუთხე აღიარეს (პ.მონდრიანისათვის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გადაკვეთის შედეგად მიღებული სწორი კუთხე სამყაროს უნივერსალური ჰარმონიის განსახიერების აუცილებელ პრინციპს წარმოადგენდა).



სუპრემატიზმი (ლათ. supremus – უმაღლესი) – აბსტრაქტული ხელოვნების ნაირსახეობა, რომელსაც კ.მალევიჩმა ჩაუყარა საფუძველი. მან ტერმინით „სუპრემატიზმი“, გეომეტრიული აბსტრაქციების სერია აღნიშნა („შავი კვადრატი“, „შავი ჯვარი“ და ა.შ.), რომელიც პეტროგრადში, 1915 წელს (ფუტურისტთა უკანასკნელ გამოფენაზე „0,10“) წარადგინა. მხატვრის განმარტებით ეს ნამუშევრები რეალობის აბსოლუტურ, უმაღლეს საწყისებს ასახავდა, რომელთა აღქმა მხოლოდ ინტუიციის მეშვეობით იყო შესაძლებელი. მხატვარი სუპრემატიზმს ხელოვნების განვითარების უმაღლეს საფეხურად მიიჩნევდა, კატეგორიულად უარყოფდა მიწიერ უტილიტარიზმს და ტრადიციული სახვითი ფორმების ნაცვლად სუპრემატისტული ნიშნებით (კვადრატი, წრე, მართკუთხედი, იშვიათად სამკუთხედი, ელიფსოიდი და ა.შ.). მანიპულირებდა.

“სუპრემატიზმი, ეს არის ელემენტების დამოკიდებულების ახალი, უსაგნო სისტემა...”
კ.მალევიჩი

სუპრემატიზმის კონცეპციაში ნათლად იჩენს თავს 1910-20-იან წლებში პოპულარული უახლესი ფიზიკურ-კოსმიური თეორიები, რის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კ.მალევიჩის ცნობილი ტილო “შავი კვადრატი”. მხატვრის განმარტებით ის ადამიანის ყოფიერების არსებით ნიშანს – “ეკონომიის ნიშანს” (წითელი კვადრატი – რევოლუციის ნიშანს, თეთრი კვადრატი – სუფთა მოქმედების ნიშანს) განასახიერებს, “ეკონომია” კი, მის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, “მეხუთე საზომია” (“მეხუთე განზომილება”), რომელსაც ხელოვნება ტილოს საზღვრებს მიღმა, დედამიწის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებულ კოსმიურ-ფსიქიკურ განზომილებაში გადაჰყავს. ამ მისტიკურ სამყაროს კავშირი აღარ აქვს რეალური გარემოს ხილულ ფორმებთან, რადგან თავისი არსით ის უსაგნოა. მისი ასახვა მხოლოდ “სუფთა შეგრძნებების” საფუძველზეა შესაძლებელი. ტილოზე ასახული მარტივი გეომეტრიული სიბრტყეები უსაგნო “შეგრძნებების ტალღებია”, რომელიც “სტატიკის ძალას და ხილულ დინამიკურ სიმშვიდეს” განასახიერებენ და ყოვლისმომცველი პირველადი არსის, მეტაფიზიკური სიცარიელის სფეროში ჩაღრმავების საშუალებას წარმოადგენენ. მათ ერთგვარი მედიატორის ფუნქცია აქვთ მინიჭებული მიწიერ ატმოსფეროსა და “ნულს მიღმა” არსებულ, სულიერ – კოსმიურ ყოფიერებას შორის.



კ. მალევიჩი. შავი კვადრატი. 1913

“მე მივიღე ის ელემენტი, რომლის მეშვეობით სხვადასხვა შეგრძნებებში ჩემს ყოფნას გამოვხატავ”
კ.მალევიჩი

ალბომში “სუპრემატიზმი, 34 ნახატი”. (1920 წ.). კ.მალევიჩი სამ კვადრატს (შავი, წითელი, თეთრი), სუპრემატიზმის განვითარების სამ პერიოდს (შავი, ფერადი, თეთრი) უკავშირებდა.



კ. მალევიჩი. „სუპრემატიზმი, 34 ნახატი „



კ. მალევიჩი. „სუპრემატიზმი, 34 ნახატი „

“ფერწერამ დიდი ხანია დრო მოჭამა, მხატვარი წარსულის ყალბი ცრურწმენაა”

კ.მალევიჩი

შემოქმედების ადრეულ ეტაპზე **კ.მალევიჩი** (1878-1935) დაინტერესებული იყო იმპრესიონიზმის, კუბიზმის პრინციპებით. 1910-იან წლებში ფუტურიზმის კონცეფციას გაეცნო და სხვა კუბოფუტურისტ მხატვრებთან ერთად (დ. და ვ.ბურლიუკები, მ.ლარიონოვი, ნ.გონჩაროვა, ვ.ტატლინი და სხვა) 1913 წ. “ახალგაზრდულ კავშირში” გაწევრიანდა. კ.მალევიჩმა 1910-იანი წლების ბოლოს ხელოვნების განვითარების პროგრამა შეიმუშავა, რომელიც სუპრემატისტული სტილისტიკის, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში (არქიტექტურა, დიზაინი) გადატანას გულისხმობდა. კ.მალევიჩი და მისი მოსწავლეები (ნ.სუეტინი, ი.ჩაშნიკი) სუპრემატისტული პრინციპების საფუძველზე ქმნიდნენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს (ქსოვილები, ჭურჭელი, სამოსი), სუპრემატისტული არქიტექტურული ნაგებობების მოდელებს – სივრცობრივ სუპრემუსებს (არქიტექტონები, პლანიტები).



ი. ჩაშნიკი. ჯგუფი „უნოვისი“





კ.მალევიჩი მიიჩნევდა, რომ საგნის რეალური, ხილული ფორმები, ისევე როგორც ადამიანის სახე მხოლოდ მყარი გარსია, ნიღაბი, რომლის მიღმა ჭეშმარიტება იმალება. 1920-იანი წლების ბოლოს, 30-იანი წლების დასაწყისში ის პირობით, განზოგადოებულ, სქემატურ კომპოზიციებს ქმნიდა და ტილოზე ადამიანების ფიგურებს "ცარიელი სახეებით" ხატავდა. ეს ფიგურები მისი განმარტებით "სუპრემატისტული სულის" განსახიერებას წარმოადგენდა.

კ. მალევიჩი. ქალის ტორსი. 1928-32



კ. მალევიჩი. ვანკა. 1928-32

სუპრემატიზმის იდეებმა განვითარება მინიმალიზმის და კონცეპტუალიზმის წარმომადგენელთა შემოქმედებაში ჰპოვა. სუპრემატიზმის გავლენას განიცდიდა 1920-იან წლებში პოპულარული ავანგარდული მიმდინარეობა – **კონსტრუქტივიზმი** (თუმცა იგი არ ასახავდა სუპრემატიზმის ძირითად არსს. თავად კ.მალევიჩიც, როგორც "სუფთა ხელოვნების" მიმდევარი კონსტრუქტივიზმის უტილიტარიზმისადმი უარყოფითად იყო განწყობილი).

აბსტრაქციონიზმის მიერ შემუშავებული ფერისა და ფორმის ჰარმონიზაციის პრინციპებით სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები დაინტერესდნენ (მხატვრები, არქიტექტორები, დიზაინერები და სხვ.). პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აბსტრაქტულმა ფორმებმა დადაიზმის, სიურეალიზმის წარმომადგენელთა ნამუშევრებში იჩინა თავი. 1930-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში ჩამოყალიბდა აბსტრაქტული ხელოვნების რამდენიმე ჯგუფი ("კონკრეტული ხელოვნება" 1930წ., "წრე და კვადრატი" 1930წ., "აბსტრაქცია და შემოქმედება" 1931 წ.), რომელიც სხვადასხვა თაობის და მსოფლმხედველობის მხატვარს აერთიანებდა (ჯგუფის წევრთა იდეებმა ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა და გაერთიანებები რამდენიმე წელიწადში დაიშალა). 1930-იან წლებში აბსტრაქციონიზმის ცენტრმა ა.შ.შ-ში გადაინაცვლა. 1937 წელს ნიუ-ორკში გაიხსნა უსაგნო ფერწერის მუზეუმი.

აბსტრაქციონიზმი ხელახალ აღმავლობას მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ განიცდის (განსაკუთრებით 1950-იან წლებში). აშშ-ში მხატვართა ახალი თაობა

(ჯ.პოლოკი, უ. დე კუნინგი, მ.ტობი, ა.გორკი) აბსტრაქციონიზმის პარალელურად "სიურეალიზმის" პრინციპებით საზრდოობდა. ("მოქმედების ფერწერა", "აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი" და სხვ.)

1960-იან წლებში გეომეტრიული აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენდა ოპ-არტი.

კონსტრუქტივიზმი (ლათ. constructio – აგება) – ავანგარდული მიმდინარეობა, რომელიც 1910-იან წლებში რუსეთში ჩამოყალიბდა, შემდეგ კი დას. ევროპის ქვეყნებში არქიტექტორთა და მხატვართა წრეში გავრცელდა. მიმდინარეობის ესთეტიკის და მხატვრული პრაქტიკის საყრდენს კონსტრუქციის კატეგორია წარმოადგენდა, რომელიც კომპოზიციური ორგანიზაციის რაციონალურად განპირობებულ ტიპს გულისხმობდა. მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების საპირისპიროდ დომინანტური მნიშვნელობა მხატვრის მიერ შექმნილი ნამუშევრის ფუნქციას ენიჭებოდა.

კონსტრუქტივიზმი ორი მიმართულებით ვითარდებოდა:
1. არაუტილიტარული კონსტრუქტივიზმი (ე.წ. განყენებული კონსტრუირება) რომელიც გეომეტრიული აბსტრაქციონიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა.
2. გამოყენებითი კონსტრუქტივიზმი – პრინციპულად უტილიტარული, პრაქტიკული.

კონსტრუქტივიზმი კუბისტებისა და კუბოფუტურისტების მიერ პლასტიკურ ხელოვნებაში – ფორმის, სივრცის, მოცულობის, სტრუქტურის დარგში განხორციელებული ექსპერიმენტების ლოგიკურ გაგრძელებად მოიაზრება. კონსტრუქტივიზმის ფუძემდებლად ვ.ტატლინს მიიჩნევენ. 1913-14 წლებში (კონსტრუქტივიზმის პირველი ფაზა) თუნუქის, ხისა და ქაღალდებისაგან შექმნილი რელიეფები ფაქტობრივად კუბოფუტურისტულ სტრუქტურებს წარმოადგენდა, რომელიც ტილოს სიბრტყიდან "რეალურ სივრცეში" იყო გატანილი. მიუხედავად იმისა, რომ არაუტილიტარულ ფაზაში (მას აგრძელებდნენ ნ.გაბო, ა.პევზნერი, ლ.მოგოლინადი) ნათლად გამოიკვეთა კონსტრუქტივიზმის ძირითადი თავისებურება – საგნის შინაგანი არქიტექტონიკური სტრუქტურის გამოვლენისადმი და პლასტიკურ ფორმებში ასახვისადმი სწრაფვა, ამ პერიოდში დომინანტური მნიშვნელობა გამოსახულების ესთეტიკურ ფუნქციას ენიჭებოდა.



3. ტატლინი. რელიეფი. 1914-17



ტატლინის კოშკი. 1920

კონსტრუქტივიზმის მეორე, უტილიტარული ფაზა რუსეთში რევოლუციის შემდგომ პერიოდს ემთხვევა და კვლავ ვ.ტატლინის სახელს უკავშირდება. 1920 წ. შექმნილი ე.წ. ტატლინის კოშკი – III ინტერნაციონალისადმი მიძღვნილი მონუმენტი, "პროგრესულ" სოციალურ-პოლიტიკურ იდეას განასახიერებდა. ამ შემთხვევაში კონსტრუქციის შექმნა, უტილიტარულ მიზანს ემსახურებოდა.



ა. როდჩენკო.
კონსტრუქცია #12. 1920

ვ.ტატლინის კვალდაკვალ კონსტრუქტივიზმის იდეებით დაინტერესდნენ ა.როდჩენკო, ლ.პოპოვა, ვ. სტეპანოვა, ძმები ვ. და გ.სტენბერგები. (არქიტექტორები – მ.გინზბურგი, კ.მელნიკი და სხვ).

საბჭოთა პერიოდში კონსტრუქტივისტთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა:

- აგიტაციურ-პროპაგანდისტული პროდუქციის (პლაკატები, დღესასწაულების გაფორმება) შექმნა;
- გარემოს, მათ მიერ შემუშავებული მხატვრულ-ფუნქციონალური კონცეფციის თანახმად ორგანიზება (არქიტექტურული ნაგებობები, უტილიტარული დანიშნულების ნივთები);
- კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპების (რაციონალიზმი, ფუნქციონალობა, პრაქტიციზმი, ტექტონიკურობა) წარმოებაში, აგრეთვე ხელოვნების სხვადასხვა დარგებში დანერგვა;
- "წარმოებითი" ხელოვნებისათვის კადრების მომზადება.

რუსული კონსტრუქტივიზმი ბოლშევიკების რევოლუციური იდეოლოგიის სამსახურში იდგა და XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში ამ იდეოლოგიასთან კავშირს ინარჩუ-

ნებდა. 1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან კონსტრუქტივიზმის რადიკალური პრინციპები ბოლშევიკების იდეოლოგიას გაემიჯნა. საბჭოთა კავშირში კონსტრუქტივიზმი ფორმალიზმად მონათლეს.

არაუტილიტარული და გამოყენებითი კონსტრუქტივიზმის პრინციპების საინტერესო სინთეზს წარმოადგენდა ვ.გროპიუსის თაოსნობით 1919 წელს ჩამოყალიბებული სამხატვრო-საწარმოო სკოლა – "ბაუჰაუსი" (Bauhaus – "მშენებლობის სახლი", "მშენებელთა გილდია"). ბაუჰაუსი გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში (ვაიმარი, დესაუ, ბერლინი) წარმატებით ფუნქციონირებდა. ის ერთდროულად ორ – შემოქმედებით და საწარმოო სახელოსნოს აერთიანებდა. სკოლა, სადაც ფერის, ფორმის, მოცულობის მხატვრულ-ესთეტიკურ კანონებს და ურთიერთქმედებას, სხვადასხვა ტექნიკური მასალების თვისებებსა და მათ დამუშავებას ასწავლიდნენ, მხატვრულ-კონსტრუქციული აზროვნების თანამედროვე არქიტექტორების, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების, დიზაინერების მომზადებას ისახავდა მიზნად. პედაგოგებად მიწვეულნი იყვნენ ისეთი "ინტუიტივისტები" ხელოვნებაში, როგორც ვ.კანდინსკი, პ.კლეე (რაც დაუშვებელი იქნებოდა რუსი კონსტრუქტივისტებისათვის) და ცნობილი "გეომეტრისტები" – თეო ვან დუსბურგი, ვ.მოგოლი – ნადი და სხვ.

1922 წელს დიუსელდორფში თეო ვან დუსბურგმა, ნ.გაბომ, გ.რიხტერმა "კონსტრუქტივისტთა საერთაშორისო ფრაქცია" ჩამოაყალიბეს.

კონსტრუქტივიზმმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა XX ს-ის არქიტექტურასა და გამოყენებით ხელოვნებაზე. კონსტრუქტივიზმის წიაღში ჩაისახა დიზაინი, კონსტრუქტივიზმიდან იღებს დასაბამს კინეტიკური ხელოვნება, მინიმალიზმი.

დადაიზმი

"თავისუფლების ვირუსი... მეამბოხე, ანარქიული და მაღალინფექციური"
ვ.ჰარტმანი

დადაიზმი – ავანგარდული მოძრაობა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში რომელიც რუმინელი პოეტისა და ხელოვნების თეორეტიკოსის – ტრისტან ტზარას (1896-1963) ინიციატივით შვეიცარიაში პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა (1916). ეს იყო ნიჰილისტური საპროტესტო მოძრაობა რომელიც იმ ტრადიციულ საზოგადოებრივ ღირებულებებს უპირისპირდებოდა, რომელმაც შესაძლებელი (აუცილებელიც კი) გახადა ბარბაროსული ომის წამოწყება.

"დადა" – ეს არის კრუს ტომის წმინდა ძროხის კუდი, იტალიის ზოგიერთ რეგიონში ასე მიმართავენ დედას, ეს შეიძლება იყოს ბავშვის ხის ცხენი, ჩვილი ბავშვის ტიტინი... ყოველ შემთხვევაში სრულიად უაზრო რამ, რაც ამიერიდან ყველაზე წარმატებულ სახელწოდებად იქცა მთელი მიმდინარეობისათვის"

ტ.ტზარა

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად "დადა" ის პირველი სიტყვაა, რომელიც ტ.ტზარას ლარუსის ფრანგულ-გერმანული ლექსიკონის გახსნისას თვალში მოხვდა.

დადაისტთა ანარქიული ამბოხი, "მოსაბეზრებელი, დამამცირებელი სინამდვილის" წინააღმდეგ იყო მიმართული. დადას ჯგუფში გაწევრიანებული იყვნენ გერმანელი მწერალი – ემიგრანტები: ჰ.ბალი, რ.ჰიულზენბეკი, ფერმწერი, სკულპტორი და პოეტი ჰ.არპი, რუმინელი მწერალი და არქიტექტორი მ.იანკო. ისინი ციურიხში, პატარა კაბარეში – "ვოლტერის კლუბში" იკრიბებოდნენ და რესპექტაბელური საზოგადოების ჩვეულებებზე და სტანდარტებზე თავდასხმის სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ. მათ მიერ გამართული, პროვოკაციული პათოსით გამსჭვალული, ეპატაჟური ხასიათის, აბსურდული შინაარსის აქციები, გამოფენები, თეატრალური წარმოდგენები ხმაურიანი სკანდალებით იყო თანხლებული.

დადაისტები პირველ მსოფლიო ომს, საზარელ მოვლენად – ადამიანის ცხოველური ინსტინქტების თვალსაჩინო გამოხატულებლად, ხოლო გონებას, მორალს, ესთეტიკას კი ამ ინსტინქტების შენიღბვის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდნენ. "დიდებული არარას მისაღწევად" დადაიზმი ტრადიციების ნგრევას, სახიერების პრინციპების განადგურებას ქადაგებდა. ჯგუფის წევრები ალტერნატულ წარმოდგენას ამკვიდრებდნენ ხელოვნების არსის შესახებ, უპირისპირებოდნენ სახვითი ხელოვნების

ტრადიციულ ხერხებს, გამოსახვის საშუალებებს, უარყოფდნენ მათი უშუალო წინამორბედების მიერ დანერგილ შემოქმედებით პრინციპებს, თუმცა მხატვრულ პრაქტიკაში ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ავანგარდული მიმდინარეობების, კერძოდ კი კუბიზმის, ფუტურიზმის წარმომადგენელთა მიერ აპრობირებულ მხატვრულ ხერხებს (კოლაჟი, ასამბლიაჟი, ბრუიტისტული მუსიკის პრინციპები). დადაისტთა თაოსნობით ორგანიზებულ გამოფენებში სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ – გერმანელი ექსპრესიონისტები, იტალიელი ფუტურისტები, ჯორჯო და კირიკო, ვ.კანდინსკი, პ.კლეე და სხვ.

"ის რასაც დადას ვუწოდებთ სიცარიელიდან მოტანილი სისულელია, რომლითაც გარემოცულია მაღალი პრობლემები"

ჰ.ბალი

მენ რეი. საჩუქარი. 1921



მენ რეი. ნიუ-იორკი. 1920

დადაისტების მიერ შექმნილი "საკუთარი ფანტასტიკური სამყაროს" კონცეფცია ხელოვნების ცნობიერების სფეროდან მოწყვეტას გულისხმობდა. დადაისტური შემოქმედებითი აქტის აუცილებელ თავისებურებას წარმოადგენდა კომპოზიციის შემთხვევითი (ალოგიკური) ორგანიზების პრინციპი (კოლაჟი, ფოტომონტაჟი, ასამბლიაჟი) და "მხატვრული ავტომატიზმის" ხერხი, რომელსაც აქტიურად მიმართავდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე დადაიზმის დაჯგუფების წევრები – ჰ.არპი ფერწერაში, ტ.ტზარა პოეზიაში და ა.შ.

"დადაისტური პოემის შესაქმნელად აიღე გაზეთი, მაკრატელი. ამოჭერი სიტყვები, ჩააწყვე ამონაჭრები ჩანთაში და კარგად აანჯრიე"

ტ.ტზარა

1916 წელს ტ.ტზარამ "ბატონი ანტიპირინის მანიფესტი" გამოაქვეყნა. ნეოლოგიზმი ანტიპირინი მის მიერ ითარგნებოდა, როგორც ხელოვნებისაგან სამკურნალო საშუალება.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დადაისტთა ახალი დაჯგუფებები შეიქმნა ბერლინში, კიოლნში, ჰანოვერში, პარიზში, სადაც დადაისტებს შეუერთდნენ აშშ-დან ჩამოსული ფრანგი მხატვრები – მ.დიუშანი, ფ.პიკაბია, მენ რეი.

მ. დიუშანი.
ველოსიპედის ბორბალი. 1913

დადაისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის – მ.დიუშანის "მზა ნაწარმის" ("ready-made") კონცეფცია კუბისტების მიერ აპრობირებულ კოლაჟის შექმნის პრინციპს ეფუძნებოდა და ხელოვნების და რეალობის მიმართ მხატვრის ახალ, არატრადიციულ დამოკიდებულებას ამკვიდრებდა. დიუშანის "ნამუშევრები" ყოფით საგნებს, მასობრივი წარმოების ნივთებს წარმოადგენდა, რომელიც უტილიტარული კონტექსტიდან იყო "ამოღებული" და ხელოვნების ნიმუშის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. დიუშანის მიერ ექსპონატის სახით გამოტანილი "ready-made" კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ტრადიციულ ესთეტიკურ ღირებულებებს, "გემოვნების" ცნების არსებობის საკითხს, ჩვეულ წარმოდგენას საგნების ჭეშმარიტ დანიშნულებაზე.

"მე მათ სახეში ვისროლე თარო პისუარით და ახლა ისინი აღფრთოვანებულნი არიან მისი სრულყოფილებით"

მ.დიუშანი



მ. დიუშანი.
შადრევანი. 1917

1918 წელს რ.ჰიულზენბეკის და რ. ჰაუსმანის თაოსნობით ბერლინში დადაისტური კლუბი ჩამოყალიბდა, გამოქვეყნდა მოძრაობის პირველი მანიფესტი, რომელიც ბრუიტისტული მუსიკის, სიმულტანური პოემების შექმნასა და "ფერწერაში ახალი მასალების" გამოყენებას ქადაგებდა. კიოლნში დადაისტურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მაქს ერნსტი. მის მიერ შემუშავებულმა აბსურდული კოლაჟების შექმნის ტექნიკამ სიურეალიზმის წარმომადგენელთა დიდი ყურადღება მიიპყრო. ჰანოვერში დადაიზმის ანტიესთეტიკური პრინციპებით ხელმძღვანელობდა კ.შვიტერსი. მისი კოლაჟების ("Merz") ძირითად მასალას ქადალდები, გაზეთები, ტრამვაის ბილეთები და ყოველდღიური ცხოვრების სხვა ელემენტები წარმოადგენდა.

"Merz" – ნაწილი სიტყვისა "Komerz" – კურტ შვიტერის ერთ-ერთ კოლაჟზე წარმოდგენილი გაზეთის ამონაჭერი.

კ. შვიტერსი. ასამბლიაჟი. 1919

"Merz" – ნიშნავს კავშირების შექმნას... სასურველია ამ ქვეყნად არსებულ ყველა საგნებს შორის"

კ. შვიტერსი

ფრენსის პიკაბია (1879-1953) ფრანგი მხატვარი, დადაიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა პარიზში. შემოქმედების ადრეულ ეტაპზე გატაცებული იყო იმპრესიონიზმის, შემდგომში კი ფუტურიზმის, ნონფიგურატიული ხელოვნების პრინციპებით. 1915-17 წლებში ცხოვრობდა ნიუიორკში, სადაც მ.დიუშანთან ერთად სათავეში ჩაუდგა დადაისტთა ჯგუფს, რომელიც ავანგარდული გამოფენის "არმორი შოუს" შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი თაოსნობით გამოდიოდა ჟურნალები "291" (აშშ-ში), "391" (ესპანეთში). 1919 წელს დაბრუნდა პარიზში.



ფ. პიკაბია. ბავშვი-კარბიურატორი. 1919

"მეტი აღარ არიან საჭირონი მხატვრები, ლიტერატორები, მუსიკოსები, სკულპტორები, რელიგიები, რესპუბლიკელები, როიალისტები, ბოლშევიკები, პოლიტიკა, პროლეტარები, დემოკრატები, არმიები, პოლიცია, სამშობლო... საკმარისია ეს სისულელე, არ არის საჭირო მეტი არაფერი, მეტი არაფერი, არაფერი, არაფერი, არაფერი, არაფერი..."

დადას კანიბალური მანიფესტი (1918 წ.) პარიზი ფ.პიკაბია.



ფ. პიკაბია. საუბარი I. 1922

"თქვენ, ყველა ბრალდებულები ხართ. წამოდექით, თქვენთან მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც ფეხზე დგახართ. ადექით, როგორც "მარსელიოზახათვის", ადექით, როგორც რუსული ჰიმნისათვის, ადექით, როგორც ალმის წინაშე და ბოლოს, ადექით დადას წინაშე, რომელიც სიცოცხლის სახელით გვესაუბრება და რომელიც გადანაშაულებთ თქვენ შესაძლებლობაში გიყვარდეთ მხოლოდ სნობიზმის გამო, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძვირი ღირს.

თქვენ კვლავ დაჯექით? მით უკეთესი, ასე თქვენ უფრო დიდი ყურადღებით მომისმენთ. რას აკეთებთ აქ დაბდვერილი ხამანწვებივით შექუჩებულნი? თქვენ ხომ ყველა სერიოზულები ხართ – ასე არ არის? სერიოზულები, სერიოზულები, სასიკვდილოდ სერიოზულები.

სიკვდილი – სერიოზული საქმეა, ხომ? შესაძლებელია მოკვდე გმირად, შესაძლებელია – იდიოტად, რაც არსებითად ერთი და იგივეა. ერთადერთი სიტყვა, რომელიც დღითიდღე არ კარგავს მნიშვნელობას – ეს არის სიტყვა "სიკვდილი". თქვენ გიყვართ სიკვდილი, როდესაც სხვები კვდებიან.
სიკვდილისკენ, სიკვდილისკენ, სიკვდილისკენ! და მხოლოდ ფული არ კვდება, ის მხოლოდ მოგზაურობს.
ეს ღმერთია, რომელსაც პატივს სცემენ, სერიოზული პერსონაჟი – ფული – ოჯახის საგვარეულო ღირსება. პატივი და დიდება ფულს; ადამიანი, რომელსაც ფული აქვს – პატივცემული ადამიანია.

დადას სუნი არ აქვს, ის – არაფერია, არაფერი, არაფერი
როგორც თქვენი იმედები: არაფერი.
როგორც თქვენი სამოთხის ბაღები: არაფერი
როგორც თქვენი კერპები: არაფერი
როგორც თქვენი პოლიტიკური მოღვაწეები: არაფერი
როგორც თქვენი გმირები: არაფერი
როგორც თქვენი მხატვრები: არაფერი
როგორც თქვენი რელიგიები: არაფერი
უსტვინეთ, იყვირეთ, მირტყით სახეში, მერე?
კიდევ იმას გეტყვით რომ თქვენ, ყველა რეგვენები ხართ.
სამი თვის შემდეგ ჩვენ, მე და ჩემი მეგობრები, ჩვენს სურათებს რამდენიმე ფრანკად მოგყიდით.

1922 წელს დადაიზმმა ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა. მხატვართა და ლიტერატორთა ქაოტურმა, ანარქიულმა დაჯგუფებამ, რომლის წევრები არაცნობიერი იმპულსების განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღიარებდნენ და აბსურდის და ალოგიზმის პრინციპებს ეყრდნობოდნენ, ახალი მხატვრული მიმდინარეობის – სიურეალიზმის შექმნას შეუწყო ხელი. დადაისტთა უმრავლესობა სიურეალისტურ მოძრაობას შეურთდა.


Why? Who cares? Who doesn't care?
Dada is dead. Or is Dada still alive
We cannot revive something that is
alive just as we cannot revive anything that is dead.
Is Dadadead?
Is Dadalive?
Dada is.
Dadaism.

Man Ray
Ramatuelle, Var, France
July 8, 1958

დადაისტთა მიერ აპრობირებული ანტიესთეტიკური შემოქმედებითი პრინციპებით საზრდოობდა სიურეალიზმი, პოპ – არტი, კონცეპტუალიზმი.

"დადა არაფერს ნიშნავს, ჩვენ გვსურს შევცვალოთ სამყარო "არაფრის" მეშვეობით"

რჰიულ ზენბეკი

სიურეალიზმი

"წმინდა ფსიქიკური ავტომატიზმი. აზრის კარნახი გონების მხრივ ყოვლად უკონტროლო, ყოველგვარი ესთეტიკური ან მორალური პასუხისმგებლობის გარეშე..."

ა. ბრეტონი

სიურეალიზმი (ფრ. surrealisme – ზერეალური) – მიმდინარეობა ლიტერატურაში, ფერწერასა და კინემატოგრაფიაში, რომელიც XX ს-ის 20-იან წლებში საფრანგეთში ჩაისახა და მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

1922 წელს ახალი მხატვრული მიმდინარეობა ა.ბრეტონმა და ფ.სუპომ "სიურეალიზმის" სახელწოდებით მონათლეს.

1924 წელს ა.ბრეტონმა სიურეალიზმის პირველი მანიფესტი გამოაქვეყნა.

1924 წელს დაარსდა ჟურნალი "სიურეალისტური რევოლუცია".

1924 წელს შეიქმნა სიურეალისტური კვლევის ბიურო, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვეცნობიერი ქმედების ყველა ფორმების შესახებ ინფორმაციის შეკრება და გავრცელება.

1925 წელს პარიზში მხატვარ-სიურეალისტთა პირველი გამოფენა გაიმართა, სადაც სიურეალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ ჯორჯო დე კირიკო, პოლ კლეე, პ.პიკასო.

1926 წელს ა.არტომ და რ.ვიტრაკმა სიურეალისტური თეატრი დაარსეს.

1929 წელს სიურეალისტთა ჯგუფში ს.დალი გაწევრიანდა.

1930 წელს გამოქვეყნდა სიურეალიზმის მეორე მანიფესტი.

სიურეალიზმი დადაიზმის "ანტიესთეტიკური" პრინციპების საფუძველზე აღმოცენდა. თუ დადაისტებისათვის "შემთხვევითობა" მთავარი სამუშაო ინსტრუმენტი იყო – ალოგიზმისა და აბსურდის იდეა სიურეალისტთა მხატვრული შემოქმედების ესთეტიკურ ბაზას წარმოადგენდა.

ტერმინი სიურეალიზმი პირველად გ.აპოლინერმა გამოიყენა 1917 წელს. საკუთარ პიესას მან "სიურეალისტური დრამა" უწოდა.

სიურეალისტური დოქტრინა იდეალისტურ, ირაციონალურ ფილოსოფიას (ინტუიტივიზმი, ფროიდიზმი), აღმოსავლური მისტიკურ-რელიგიური და ოკულტური სწავლებების იდეებს ეფუძნებოდა. მიმდინარეობა ზ.ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის გავლენას განიცდიდა. სიურეალისტები იზიარებდნენ ავსტრიელი ფსიქიატრის იმ მოსაზრე-

ბას, რომ ადამიანის ცნობიერ მოქმედებებს ინსტიქტური ლტოლვები განსაზღვრავს – ყოველგვარ ფსიქოლოგიურ აქტს გონების მიერ შეზღუდული ქვეცნობიერი "იმპულსები" განაპირობებს.



ს. დალი. მედიტაციური ვარდი. 1958

ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) ავსტრელი ექიმი – ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. განავითარა ინდივიდის ფსიქოსექსუალური განვითარების თეორია.

ფსიქოანალიზი – ქვეცნობიერი ფსიქიკური პროცესების გამოკვლევის მეთოდი, რომელსაც ზ.ფროიდი უნივერსალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ფსიქოანალიტიკური თერაპიისას ის თავისუფალი ასოციაციების მეთოდს მიმართავდა. ადამიანის ხასიათის ფორმირებაში ადრეული ბავშვობის განცდების განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღიარებდა.

ფროიდიზმი – ზ.ფროიდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური კონცეფციების საერთო განმარტება. ფროიდის სწავლებიდან გამომდინარე ფროიდიზმის წარმომადგენლები კულტურის და სოციალური ცხოვრების ფორმებს პირველადი ლტოლვების გამოვლინებად მიიჩნევდნენ (ფროიდთან – სქესობრივი ლტოლვა, ადლერთან – თვითდამკვიდრების სურვილი და ა.შ.).

სიურეალისტური კონცეფციის თანახმად (რომელიც სიურეალისტურ მანიფესტში და სხვა პროგრამულ ნამუშევრებში იყო ჩამოყალიბებული) ყოფიერების ჭეშმარიტება ქვეცნობიერების სიღმეშია დამალული. ხელოვნების მიზანი მისი გაანალიზება, გათავისუფლება და ასახვაა, რისთვისაც საუკეთესო საშუალებად სიურეალისტები სხვადასხვა არაცნობიერ მდგომარეობას მიიჩნევდნენ (სიზმრები, ჰალუცინაციები, მისტიკური ხილვები, ბავშვობის მოგონებები და ა.შ.). სიზმრებისა და ხელოვნების სფეროს ფროიდისეული ანალოგია მათი მხატვრული შემოქმედების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. ზ.ფროიდის იდეების პარალელურად სიურეალისტებს სწამდათ რომ გონების მიერ განდევნილი ფარული აზრები, სურვილები, მოგონებები ადამიანის ქვეცნობიერებიდან სიზმრებში აღწევს და იქ "არაცნობიერი კომპლექსების"სახით იჩენს თავს. ცნობილი სიურეალისტური ხერხი – სიზმრების ჩაწერა, ტილოზე სპონტანურად ასახვა (სანამ მათ გააზრებას შევძლებთ, სანამ ჩვენი ცნობიერება დასკვნების გამოტანას მოასწრებს) მათთვის ადამიანის ქვეცნობიერებაში მიმდინარე უკონტროლო პროცესების, არაცნობიერი ბუნდოვანი ფენომენების დაფიქსირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შესწავლის "თავისუფალი ასოციაციების" ფროიდისეულ მეთოდს შეესაბამებოდა. მხატვარი გაცნობიერებულ შემოქმედებას ემიჯნებოდა, ის სამყაროს "იდუმალი რეზონანსების", სპონტანურად წარმოქმნილი სახეების რეგისტრატორად იქცეოდა. ილუზიაზე, ფანტაზიაზე, ასოციაციებზე, ორიენტირებული ხელოვანი



ს. დალი. ძალიან გრძელი საწოლი

განსაკუთრებული მისტიკურ მხატვრულ ატმოსფეროს – "ახალ სამყაროს" ქმნიდა სადაც ადარაფერი ექვემდებარებოდა რეალური სამყაროს კანონზომიერებებს, ჩვეულ ლოგიკას. მხატვარი ნატურალისტურად ასახული საგნების, სკურპულოზურად გამოწერილ დეტალების აბსურდულ, პარადოქსულ, უჩვეული მონტაჟს სთავაზობდა მაყურებელს. მის მიერ კონსტრუირებულ "ზერეალურ" გარემოში საგანი, სხეული იცვლიდა ბუნებრივ ფორმას, მოცულობას, ფიზიკურ მდგომარეობას, ზემოაღნიშნული მეტამორფოზების შედეგად კი, ის კარგავდა თავის პირველად ფუნქციას, დანიშნულებას და ირეალურ (ზერეალურ) მნიშვნელობა იძენდა.

"თავისუფლებას არავინ მოგცემს, ის თავად უნდა მოიპოვო"
მ.ოპენჰეიმი

მ. ოპენჰეიმი. ბეწვის საუზმე. 1936

სიურეალისტები მხატვრულ შემოქმედებას პიროვნების ერთგვარ თავშესაფარად მიიჩნევდნენ. ტილოზე ასახული სამყარო მათთვის სუბლიმაციის საშუალებას წარმოადგენდა. ხელოვნება ოცნებების სამყაროში ადამიანის გადანაცვლებას დამატებითი სტიმულატორების (ალკოჰოლი, ნარკოტიკები) გარეშე უზრუნველყოფდა.

სუბლიმაცია (ლათ. sublimo განვადიდებ) – ლტოლვების ენერგიის გარდასახვის, სოციალური მოქმედების და კულტურული შემოქმედების მიზნებზე გადართვის ფსიქოლოგიური პროცესი.
ზ.ფროიდი სუბლიმაციას განიხილავდა, როგორც ლტოლვების ტრანსფორმაციის ერთ-ერთ (განდევნის საპირისპირო) სახეს.
(ქიმ. ფიზ) – მყარი ნივთიერების უშუალოდ აირისებურ მდგომარეობაში გადასვლა (თხევადი მდგომარეობის გამოტოვებით).

"სინამდვილისადმი მტრულად განწყობილ პიროვნებას, რომელიც ფსიქოლოგიურად ჩვენთვის იდუმალი მხატვრული ნიჭით არის დაჯილდოვებული, შეუძლია საკუთარი ფანტაზიები, ავადმყოფობის სიმპტომების ნაცვლად მხატვრული ქმნილებების მეშვეობით გამოსახოს"

ზ.ფროიდი

ს. დალი. ქალის რეტროსპექტიული ბიუსტი. 1933

ზ.ფროიდის ფილოსოფიური თეზისების შესაბამისად ადამიანის ქცევებს, იდეებს, შემოქმედებით საშუალებებს მისი არაცნობიერი ცხოვრება განსაზღვრავს, რომელსაც ლოგიკასთან, ეთიკის ნორმებთან, მარადიულ ღირებულებებთან არაფერი აქვს საერთო. ფროიდის პოზიციიდან მორალი, ლოგიკა ცივილიზაციის მახინჯი წარმონაქმნებია, ოჯახი, რელიგია, სახელმწიფო – პირობითი ცნებები. ჭეშმარიტი და აბსოლუტური მხოლოდ არაცნობიერების კანონებია, რომელიც ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე ადამიანის წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე.

ლ. ბუნუელი. კადრი ფილმიდან „ანდალუსიელი ძაღლი“. 1928

“... წარმოსახვა ერთადერთი რამაა, რაც იცავს ჩვენს თავისუფლებას”

ლ. ბუნუელი

მიმდინარეობის წარმომადგენელები ბურჟუაზიული ცივილიზაციის “მახინჯი” თავისებურებების – ლოგიკის, გონიერების, მორალის, ტრადიციული ესთეტიკის მარწუხებში მოქცეული ადამიანის “მეს”, მისი სულის გათავისუფლებას ისახავდნენ მიზნად და უკონტროლო, არაცნობიერი პროცესების ტილოს სიბრტყეზე დაფიქსირების საუკეთესო საშუალებად “ავტომატური წერის მეთოდს” ადიარებდნენ (რომელიც გონების ცენზურას გამორიცხავდა).



მენ რეი. ელექტროობა-სააბაზანო. 1931

მენ რეი. ცრემლები. 1930-32

“სიურეალიზმი ეფუძნება ზერეალობის რწმენას, ასოციაციურ ფორმებს, რომელიც უყურადღებოდ იყო დატოვებული”

ა.ბრეტონი

1919 წელს ახალგაზრდა პოეტების ლ.არაგონის, ა.ბრეტონის და ფ.სუპოს თაოსნობით დაარსდა ჟურნალი "Literature". ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ა.ბრეტონის და ფ.სუპოს პირველი სიურეალისტური ნაშრომი "მაგნიტური ველები", რომელიც სიურეალიზმის ძირითადი მეთოდის – "ავტომატური წერის" სისტემატურ გამოყენებას ეფუძნებოდა. ჟურნალის გარშემო გაერთიანდნენ ლიტერატორები და მხატვრები – ტ.ტზარა, პ.ელიუარი, მ.დიუშანი, მენ რეი, მ.ერნსტი, ა.მასონი.

ა. მასონი. ავტომატური ნახატი. 1924"

ა.მასონი. არაცნობიერის სამი ძირითადი პირობა:

1. გონების რაციონალური კავშირებისაგან გათავისუფლება და ტრანსის მსგავსი მდგომარეობის მიღწევა.

2. არაკონტროლირებადი, არაგონიერი შინაგანი იმპულსების სრული დაქვემდებარება.

3. მუშაობის შეძლებისდაგვარად სწრაფი ტემპი (გასააზრებლად შეხერების გარეშე).

სიურეალისტები შემოქმედებითი პროცესიდან გონების განდევნის მიზნით ხშირად მიმართავდნენ კუბისტების, ფუტურისტების, დადაისტების მიერ აპრობირებულ მხატვრულ საშუალებებს (კოლაჟი, „რედი-მეიდ"), "შემთხვევითობაზე ნადირობის" სხვადასხვა მექანიკურ (**ფროტაჟი**) თუ ფსიქიკურ (ფსიქოანალიტიკურ) მეთოდებს. მაგ.: მხედველობითი თვითჰიპნოზის ფორმებს.სიურეალისტთა შეკრებები – sommeil – "სიზმრები ცხადად" მათთვის გონების "გათიშვაში", ქვეცნობიერი ქაოტური ძალების გათავისუფლებაში ერთგვარ "ვარჯიშებს" წარმოადგენდა. მაგ.: ბურიმეს" ტიპის თამაშების პროცესში სიურეალისტები რიგრიგობით ადგენდნენ ფრაზას, თუმცა წინასწარ არაფერი იცოდნენ იმ სიტყვის შესახებ, რომელიც თამაშის სხვა მონაწილემ დაწერა.



მ. ერნსტი. სინათლის ბორბალი. 1926

ფროტაჟი (ფრ. frottage – ხეხვა, ხახუნი) ტექნიკა რომელიც მაქს ერნსტმა გამოიყენა. მან იატაკზე ფურცლები გაშალა და ნახშირი გადაუსვა. ფურცლის ზედაპირზე დახეთქილი ხის რელიეფური ფაქტურა აისახა, რომელიც ჰალუცინაციას ჰგავდა.

“1925 წლის 10 აგვისტოს ერთი გაუსაძლისი ვიზუალური ხილვა დამეხმარა აღმომეჩინა ახალი ტექნიკური საშუალება... წვიმიან საღამოს ზღვისპირა დუქანში ვიმყოფებოდი. მოჯადოებული ვუყურებდი ფიცრის იატაკს, რომლის ზედაპირზეც ათასობით ნაკაწრს დაეტოვებინა თავის კვალი, როცა ხილვა მესტუმრა. გადავწყვიტე ამ ხილვის სიმბოლურ შინაარსს ჩავწვდომოდი. იმისათვის, რომ ჩემი მედიტაციური და ჰალუცინატორული შესაძლებლობა გამეძლიერებინა, ჩავხატე მთელი სერია იატაკის ფიცრებისა, რომელზეც მიმოვფანტე ფურცლები და ნახშირი გადავუსვი”



მ. ერნსტი. ის ინახავს თავის საიდუმლოს. 1926



მ. ერნსტი.ფოთლების ჩვევა. 1926

“... ყოველგვარ საშუალებას ვიყენებდი, ყოველგვარ მასალას, რომელიც თვალში მომხვდებოდა: ფოთლებსა და მათ ძარღვებს, ტილოს ჩვრის უხეშ ნაწიბურებს, “თანამედროვე” ნახატის ფუნჯის მონასმებს, კოჭიდან ჩამოშლილ ძაფს და ა.შ.”

მ.ერნსტი

მიმიდინარეობის კონცეფციის შესაბამისად სიურეალისტთა ნამუშევრები ჩვენს სულში “მიძინებულ ურჩხულებს” აამკარვებს, ადამიანის ქვეცნობიერების აკრძალულ და ბნელ კუთხეებს აშუქებს, შესაბამისად სიურეალისტის მიერ კონსტრუირებული ახალი სამყარო “უწმინდურობისაგან განწმენდის” და “შინაგანი ჰარმონიის” მიღწევის გზით პიროვნების კათარსიზს უზრუნველყოფს.

კათარსიზი – (ბერძ. katharsis განწმენდა).
1. არისტოტელეს “პოეტიკის” ტერმინი, სულის განწმენდა შიშისა და თანაგრძნობის მეშვეობით (როგორც ტრაგედიის მიზანი).
2. ზ.ფროიდის ფსიქოანალიზში ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მეთოდი.



*“ფილოსოფიური პეპელა
ვარდისფერ ვარსკლავზე დასკუპდა,
სარკმელი გაუჩნდა ჯოჯოხეთს,
გაშიშვლებული ევას წინაშე დგას და დგას
კაცი ნიღბიანი”.*

ა. ბრეტონი

რ. მაგრიტი.
შავი მაგია. 1945

სიურეალისტთათვის ერთგვარ აღმოჩენას წარმოადგენდა **მეტაფიზიკური ფერწერის** ფუძემდებლის, იტალიელი მხატვრის, ჯორჯო დე კირიკოს (1888-1978) შემოქმედება, რომელიც ფილოსოფოს იდეალისტთა განაყენებული მეტაფიზიკური იდეების (სინამდვილის საზღვრებს მიღმა არსებული იდეების სამყაროს) ვიზუალურ განსახიერებას წარმოადგენდა.

მეტაფიზიკა (ბერძ. meta ta physika – ფიზიკის შემდეგ).
1. ფილოსოფიური მოძღვრება ყოფის ზეგრძნობადი (გამოცდილებისთვის მიუწვდომელი) პრინციპების შესახებ. ტერმინი მომდინარეობს სახელწოდებიდან, რომელიც ანდრონიკე როდოსელმა (I ს. ჩვ.წ. აღმ-დე) არისტოტელეს თეორიულ ნაშრომს უწოდა, რომელიც ყოფის გონებისათვის მიუწვდომელ საწყისებს ეხებოდა. თანამედროვე ფილოსოფიაში ტერმინი მეტაფიზიკა, ხშირად გამოიყენება, როგორც ფილოსოფიის სინონიმი.
2. დიალექტიკის საპირისპირო ფილოსოფიური მეთოდი, რომელიც მოვლენებს განიხილავს როგორც უცვლელს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს, უარყოფს შინაგან წინააღმდეგობას, როგორც მათი განვითარების წყაროს.

“არ უნდა დავივიწყოთ, რომ სურათი ღრმა გრძნობის ანარეკლი უნდა იყოს და რომ ღრმა ნიშნავს უცნაურს, უცნაური კი უცნობს და უცხოს. იმისათვის, რომ ხელოვნების ნიმუში გახდეს უკვდავი, აუცილებელია ის ადამიანურობის საზღვრებს მიღმა გავიდეს, იქ სადაც არ არსებობს ჯანსაღი აზრი და ლოგიკა”

ჯორჯო დე კირიკო

ჯ. დე კირიკო.
სიყვარულის სიმღერა. 1914

მეტაფიზიკური ფერწერა (იტ. pittura metafisica) – კამერული მიმდინარეობა იტალიურ ფერწერაში (1910-იანი წლების II ნახ. – 1920-იანი წლების დასაწყისი), რომელიც "მექანიკურ", "დინამიკურ" ავანგარდულ მიმდინარეობებზე (მაგ. ფუტურიზმზე) ერთგვარ რეაქციას წარმოადგენდა.

მეტაფიზიკური ფერწერის წარმომადგენელნი (ჯორჯო დე კირიკო, კ.კარა, გ.მორანდი) ხილული სინამდვილის ნაცვლად, მოვლენათა მიღმა არსებულ, იდუმალ, მეტაფიზიკურ ასპექტებს იკვლევდნენ.

ჯორჯო დე კირიკოს ცნობილი "მატაფიზიკური" ნამუშევრები 1910-19 წლებშია შექმნილი. ტილოებზე უდაბური, საშიში, ადამიანისაგან გაუცხოებული სამყაროა ასახული. პეიზაჟები (ძირითადად ქალაქის) სტატიკურია, უდაბური, მცენარეულობისაგან განძარცვული. მოედნები და ქუჩები ცოცხალი არსებების ნაცვლად მოცულობითი გეომეტრიულ ფიგურებით, სტატუებით, თაბაშირის მულიაჟებით და მანეკენებითაა (მეტაფიზიკური ფერწერის ერთ-ერთი პლასტიკური სიმბოლო) "დასახლებული". კომპოზიცია ალოგიკური მონტაჟის პრინციპების საფუძველზეა აგებული. ნატურალისტურად გამოწერილ საგნებს, დეტალებს იდუმალი, მაგიური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული.



ჯ. დე კირიკო. ორნი. 1914-15

1916 წელს ანდრე ბრეტონმა ავტობუსით მგზავრობისას ვიტრინაში ჯორჯო დე კირიკოს ტილო ("ბავშვის ტვინი") შენიშნა. შემდეგ გაჩერებაზე ის ავტობუსიდან ჩამოვიდა და უკან დაბრუნდა, რათა შემოწმებინა, ხომ არ იყო მცდარი მისი პირველი შთაბეჭდილება.

სიურეალიზმი ორი მიმართულებით ვითარდებოდა: ე.წ. ორგანული სიურეალიზმი და ნატურალისტური სიურეალიზმი.

ორგანული სიურეალიზმის წარმომადგენელთა (ხ.მირო, ა.მასონი, ჰ.არპი, ი.ტანგი) კომპოზიციები ნახევრად აბსტრაქტული, ბიომორფული ფორმების საფუძველზეა აგებული.



ხ.მირო. ადამიანი ჩიტს ქვას ესვრის. 1926



ხ.მირო. მობანავე. 1932

ნატურალისტური სიურეალიზმის წარმომადგენელთა (ს.დალი, რ.მაგრიტი) ტილოებზე საგნები, დეტალები სკურპულოზურადაა გამოწერილი, მაგრამ რეალური სინამდვილის ცალკეული ელემენტები ალოგიკურ კავშირში, აბსურდულ ასპექტშია წარმოდგენილი.

. "... ეს ნიშნავდა გონიერების, გემოვნების და შეგნებული ნების გაძევას ხელოვნების ნაწარმოების შექმნის პროცესიდან. თეორიული კვლევა მათ ვერ დაეხმარებოდათ, არამედ მხოლოდ პრაქტიკული ცდები და მათი რეზულტატები. "საქსოვი მანქანის და ქოლგის შეხვედრა გასაკვეთ მაგიდაზე" (ლოტრეამონი) დღეს უკვე კარგად ცნობილი, თითქმის კლასიკური მაგალითია იმ ფენომენისათვის, რომელიც სიურეალისტებმა აღმოაჩინეს – ორი თითქოსდა შინაარსობრივად უცხო ელემენტის შეხვედრა მათთვის არსებითად უცხო გარემოში იწვევს უძლიერეს პოეტურ აფეთქებას... რაც უფრო შემთხვევითი ელემენტები უკავშირდებოდა ერთმანეთს, მით უფრო უჩვეულო იყო საგნების მთელი ან ნაწილობრივი ხელახალი გააზრება"

მ.ერნსტი



რ. მაგრიტი. გოლკონდა. 1953



ს. დალი. ამაღლებული ვნებანი. 1929

სიურეალისტთა ჯგუფის შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა. კონფლიქტებს ხშირ შემთხვევაში ჯგუფის წევრების პოლიტიკური სიმპათიები განაპირობებდა. 1934 წელს ა.ბრეტონმა სიურეალისტთა ჯგუფიდან გარიცხა ს.დალი, რადგან ის სოციალ-ნაციონალისტური იდეების პროპაგანდაში დაადანაშაულა.

"განსხვავება ჩემს და სიურეალიტებს შორის ისაა, რომ მე სიურეალისტი ვარ"

ს.დალი

ლ.არაგონი, ა.ბრეტონი, პ.ელიუარი საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში იყვნენ გაწევრიანებულნი. 1935 წელს ა.ბრეტონმა საჯაროდ გააკრიტიკა კომუნიზმის სტალინური მოდელი და ფრანგი კომუნისტების რისხვა დაიმსახურა. ის გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან.

ა. ბრეტონმა ***ს.დალისთან*** *მორიგი უთანხმოების შემდეგ, მისი სახელისა და გვარის მეშვეობით ანაგრამა შეადგინა – "Avida dollars" – „დოლარებს მოწყურებული".*

"... და აი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – მოვიდა დალი, სიურეალისტი თხემიდან ტერფამდე, რომელსაც ნიცშეს "ძალაუფლებისადმი სწრაფვა" ამოძრავებდა. მან ესთეტიკური ან მორალური იძულებისაგან უსაზღვრო თავისუფლება იქადაგა და განაცხადა, რომ ნებისმიერი შემოქმედებითი ექსპერიმენტის დროს, შესაძლებელია მიხვიდე ბოლომდე, უკიდურეს ექსტრემალურ საზღვრებამდე და არ იზრუნო თანმიმდევრულ კავშირებზე"

ს.დალი

სიურეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი – ს.დალი ფროიდის იდეების თაყვანისმცემელი იყო. მას სწამდა სიზმრის განმათავისუფლებელი ძალისა და გადვიძებისთანავე იწყებდა მუშაობას, (სანამ მისი ტვინი არაცნობიერი სახეებისაგან გათავისუფლებას მოასწრებდა). დალის აღიარებით ზ.ფროიდის იდეების სამყარო მისთვის ისეთივე ღირებული იყო, როგორც წმინდა წიგნი შუა საუკუნეების ხანის მხატვრებისათვის ან ანტიკური მითოლოგია აღორძინების ეპოქის ოსტატებისათვის.

ზ.ფროიდი: *შეცდომა, მახვილსიტყვაობა, უნებლიე სიტყვა ქვეცნობიერების მშფოთვარე მატერიის არაკონტროლირებადი გამოვლინებაა, რომელმაც "ეგოს" გამხმარი ქერქის გარღვევა შესძლო.*

ს.დალი: *შეცდომებში არის რაღაც წმინდა. არასოდეს სცადოთ მათი გამოსწორება. პირიქით, საჭირო მათი განზოგადება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მათი სუბლიმირება.*

ი 77 /1307

ს. დალის "10 მცნება მათთვის, ვინც აპირებს მხატვარი გახდეს".

ს. დალი. გალა ზურგიდან. 1960

1. მხატვრისათვის უმჯობესია იყოს მდიდარი და არა ღარიბი, ამიტომ ისწავლე აკეთო ისე, რომ შენი ფუნჯი ოქროსა და ძვირფას თვლებს ბადებდეს.
2. ნუ შეგეშინდება სრულყოფილების – შენ მას ვერასოდეს მიაღწევ!
3. თავდაპირველად ისწავლე ხატვა და სადებავებით წერა ძველი ოსტატების დარად. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია აკეთო ის, რაც გსურს – ყველას პატივისცემას დაიმსახურებ.
4. არ უარყო საკუთარი ხედვა, საკუთარი მანერა, საკუთარი შეხედულებები. თუ მხატვარი გახდები ისინი შენ გამოგადგება.
5. თუ შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ ვინც თვლის, რომ თანამედროვე ხელოვნება ვერმეერსა და რაფაელს სჯობია, გადააგდე ეს წიგნი და ნეტარ იდიოტიზმში არსებობა განაგრძე.
6. არ შეაფურთხო საკუთარ ფერწერას – მასაც ხომ შეუძლია შეგაფურთხოს როდესაც მოკვდები.
7. შედევრი და უსაქმურობა შეუთავსებელია.
8. ფერმწერო, წერე!
9. ფერმწერო არ გაეკარო ალკოჰოლს და არ მოსწიო ჰაშიში ხუთზე მეტჯერ ცხოვრებაში.
10. თუ ფერწერას არ უყვარხარ, შენი სიყვარული მისდამი არაფერს მოგცემს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად სიურეალისტური მოძრაობის ცენტრმა საფრანგეთიდან აშშ-ში გადაინაცვლა, სადაც სიურეალისტთა ჯგუფი ახალი წევრებით შეივსო.

სიურეალიზმის ძირითადი პრინციპები, აზროვნების ფორმები, ტექნიკური საშუალებები XX ს-ის II ნახევარშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სიურეალისტური ტენდენციები ტრანსფორმირებული სახით თანამედროვე ხელოვნებაშიც იჩენს თავს. სიურეალისტურ მხატვრულ ხერხებს აქტიურად იყენებენ სახვით ხელოვნებაში, მედია ხელოვნებაში, კინემატოგრაფიაში, სცენოგრაფიაში, დიზაინში და სხვ.

"მე მჯერა, რომ მომავალში
სიზმარი და რეალობა –
ეს ორი განსხვავებული მდგომარეობა
ერთმანეთს შეერწყმება
და ერთგვარ აბსოლუტურ რეალობად –
სიურეალობად იქცევა"

ა.ბრეტონი

F14.485
4

ღმერთმა დააჯილდოვა თქვენი სულები
ფრთებით, რათა იფრინოთ და ინავარჰდოთ
სიყვარულის, თავისუფლებისა
და შემეცნების სივრცეში.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. "სიტყვები"